

1937



ՅԱԼԵՎԻ



Ա

Զ

Ե

Դ

პირვენი

წელი 1937 გეთოქმეთი
1937 წელი გეთოქმეთი

საქ. ალკე ცენტრალური კომიტეტის და საქ. განსახურმის ერთოვთური ქურნალი.



1937 წ.

№ 1

საქ. კ. ბ. (ბ) ც. კ-ს გამომც.—„კომუნისტი“. რედაქციის მისამართი: თბილისი, გრიბოედოვის ქ. № 34. ტელ.—3-02-61

მსახურა

| | | |
|---|------------------------|-----|
| | | 83. |
| 1. ის ისევ ცოცხალია | გ. ნატროშვილი | 1 |
| 2. როგორ? თეთრი რვეული შავი ძაფით (მოგონება). ბ. ი. ულინოვა | | 2 |
| 3. ბუმბერაზი პოეტი | შ. თაბუკაშვილი | 3 |
| 4. პირველი შეტვედრა | მ. თომაძე | 5 |
| 5. ზიმთრის სალამო | ა. პუშკინი | |
| | თარგმანი რ. აგლაძის | 6 |
| 6. აღმოსავლური ცხოვრების ჩუქურთმებში (მოთხრობა) | ელ. პოლუმორდვინოვი | 7 |
| 7. დიდ ბელადს (ლექსი) | ლ. მეგრელიძე | 11 |
| 8. კარგია შეილო! | როდიონ ქორქია | 12 |
| 9. უნებლიერ დანაშაული | კლ. დავითარიანი | 14 |
| 10. კოჭლი წიწილა (ლექსი) | გ. მესიანი | |
| | თარგმანი გ. ქუჩიშვილის | 16 |
| 11. სამეცნიერო ტელეგრაფი | | |
| 12. ციდამტკაველა მაიმუნები | გ. კახიანი | |



ი ს ი ს ე ვ ვ თ ვ ხ ა რ ი ა

ის ისევ ცოცხალია—დიდი მასწავლებელი და ბელადი ლენინი, ისევ ხმამაღლა და მქუნარედ ისმის მისი შრამული, ლრმააზროვანი სიტყვები. ეს სიტყვები ისევ აძრწუნებენ მტერს, ისევ უნაზესად გალერსებიან მურომელი იდაშიანის სმენას. გაივლიან წლები, წავლენ საუკუნეები, ისტორიის ქარიშხალი გადაშლის მატიანის არა ერთ ფურცელს,—ისევ ცოცხალი იქნება ლენინის სახელი, ცოცხალი იქნება ის—გახვეული კრემლის გარსკვლავის სხივებში, ჟკვდავი შარავანდით შუქმოფრქვეული.

ცამეტი წლის წინათ წავიდა ჩევნგან ლენინი და ბრძოლებში ნაწილობი ფოლადისებური პარტია თავის საუკუნეს მოწიოეს და თანამებრძოლ სტალინს ჩააბარა. დიდმა საჯალინმა ფიცი დასდო მასწავლებლის კუბოსთან. ეს ფიცი გახუსხელად შესრულებულია. ბრწყინვალე სტალინური კონსტიტუცია ამის თავდები.

ამ დიდი ადამიანების გონიერამ და ხელმა გამოაწროთ დიდი ოქტომბერი, მან პირველად შისცა ზალსს ნამდვილი სამშობლო.

ლენინი! სოციალიზმის გარსკვლავმა და ბედნიერებამ უკვდივად ასწია ეს სახელი.

და თუ ახლა ჩვენი სამშობლო მრის კაცობრიობის თავისუფლების და ბედნიერების შუქურა, რომელიც აფრევეეს სტალინური კონსტიტუციის ბრწყინვალე სხივებს, — ეს იმიტომ, რომ ლენინის დროშა წინ მიძექს სტალინს.

140
1937/2

ლენინი—ეს იყო მთის არწივი, არწივისებური აზრით და ფოლადის რწმენით.

სტალინი—ეს არის ლენინი დღეს, —როგორც ოქვა ანრი ბარბიუსმა.

მათ ძეგიეს ჩიენა სამშობლო იყვავებულ ბალად, სადაც ადამიანები ყვავილებივით იშლებიან და იფურჩქნებიან;

ლენინ! დიდია და დიდებული ეს სახელი. ის ამაყად გაისმის კონტინენტი ყან კონტინენტზე, ხელეთიდან ხელეთზე, ოკეანების და ზღვების გადაღმა, ეს სახელი ისმის პარენის მთების კალთებზე ეს სახელი აწერია ჩინეთის საბჭოთა რაიონებს დროშებზე, ეს სახელი ამხნევებს რურის მემალაროებს, მაღრიდის სახალხო ფრონტელებს—ყველგან, მთელ მსოფლიოში, მშრომელ კაცობრიობისათვის არ არსებობს ლენინისა და სტალინის სახელებზე უფრო ძვირფასი, წარმტაცი და მშობლივის სიტყვები.

ორმოცდათოთხმეტი წელი ფიზიკურად იცოცხლა დიდმა ლენინმა, მაგრამ იდურად, აზრით, საქმით ზალსს



ხსოვნაში ის იცოცხლებს სამარადისოდ.

ვისწავლოთ ილიჩი, ვისწავლოთ ჩვენი მშობლიერი სტალინი. ლენინურად გაშენოთ ახალი ცხოვრება, ახალი იყოფა, ახალი კულტურა. ვიყვნეთ ლენინ-სტალინის პარტიის ლირსეული შვილები.

8. ნარილი გვილელი

Ի՞նչո՞ւ է առաջարկված պատմությունը? Ի՞նչո՞ւ է առաջարկված պատմությունը?

ა. ი. ვლის ერთობენ



კლადიმერ ილიჩს პატარაობიდანვე ერთი დამა-
შასიათებელი თვისება ჰქონდა: ყველაფერს, რის გა-
კეთებასაც კი შეუღებოდა, ძალიან კარგად შეას-
რულებდა. ხშირად, როდესაც მოწაფეს დავალებუ-
ლი აქვს რაიმე საწერი სამუშაო და მის დასმზა-
დებლად მიცემული აქვს დიდი ღრმა, ის მუშაობას
შეუღება უკანასკენელ დღეებში, როცა უკვე მისი
ჩაბარების დრო მოვა. ის ფიქრობს: „დრო ბევრია,
შევასწრებ“. როდესაც კლადიმერ ილიჩს მისცემ-
დნენ რაიმე საწერ სამუშაოს, ივი მარინე შეუდევ-
ბოდა მუშაობას — ამზადებდა მასალებს. შეაჩევდა
საჭირო წიგნებს, კითხულობდა მათ, ამოიწერდა
ჰოგიერთ აღვილს.

ის ჩვეულებრივად ფანქრით წერდა. ფანქარს მეტად წვრილი და წაუთლიდა წვერს. ეს იყო იდეალურად წათლილი ფანქარი. ამონაწერებს ათავსებდა გადაკეცილი ფურცლის მხოლოდ მარცხენა მხარეს. ჟემდეგ თუ რაიმე აზრი მოუკიდოდა, ის აიღებდა საჭირო გვერდს და მიაწერდა მარჯვნივ დატოვებულ თავისუფალ აღვილზე. ნაწარმოების გვერდს შინააშარ ადგენდა. ეს ის თვისებაა, რომელიც რესალებს ნაჯლებად ახასიათებს. ჩვენში ბევრნი, როდესაც მათ რაიმე მოხსენების გაცემება აქვთ დაალებული, იტყვიან ხოლმე — იქვე მოვიფიქრებთო. კლადიმერ ილია კი, რა მოხსენება ან ბრძოშურაც უნდა დაწერა, ჯერ აუცილებლად გვემას შეადგნდა. ბავშვობის დროსაც კი ის ნაწარმოების დაწერის წინ გავმიშვი აღანით.

როცენაც მეორე კლასში ვიყავი, ის ზოგჯერ მეხ-
მარებოდა გაკეთილების დამზადებაში, თუ ჩემთვის
რაიმე გაუგებარი იქნებოდა.

კლადიმერ ილიჩი ჩემგან ყოფელთვის დიდ წესით-
რებასა და სიზუსტეს მოითხოვდა. მასსოდეს, მე და-
შვალეს ეკრაპის რეკის დახატვა. მე დაცედავდი
რეკას და ხელით ვხატავდი. მან მითხრა, რომ ამა-
სთვის არსებობს ფარგალი, საჭიროა მანძილის ზუს-
ტი გაზომვა, და მაიძულა ყველაფერი გადამეცეთ-
ბინა. აი მეორე მაგალითი: მე ვმაცადინობდი მას-
თან ენებში. საჭირო იყო ამომეწერა ჩემთვის უც-
ნობი სიტყვები. ავიღე რვეული, ავიღე ძავი, რო-
მელიც ხელში მომყეა, და ვერავ. ძაფი შევი შემძ-
ედროდა. ვლადიმერ ილიჩმა დაინახა და მითხრა:
„როგორ? თეთრი რვეული შევი ძაფით? არ შეიძ-
ლება!“ და მაშინვე მაიძულა გადამეცეთბინა. აი

ასეთი წესიერი იყო ყველაფერში, და ეს თვისება
გამჭვივა მოედი სიცოცხლის მანძილზე.

მე მიხდებოდა შასთან ცხოვრება შაშინდელი სა-
მარის გუბერნიაში, ხუტორ ძლევავევაში, ახლა აშ
კოლმეურნეობაა — „ლენინის კუთხე“, ძალიან კარგი
კოლმეურნეობაა. კლადიმერ ილიჩი იქ ზაფხულობით
ცხოვრობდა. ის 18-20 წლისა იყო. დრო ზუსტად
ჰქონდა განაწილებული. ყოველ დილით ადგებოდა
წესიერად, ღალავდა ჩისი, იაღიბდა ჩვეულებს, ლეპ
სიკონებს, წიგნებს და წავილოდა ბალის რომელიმე
კუთხეში. იქ მოწყობილი ჰქონდა შავიდა, სკომი და
საქინაო ღრიძი, რომელიც თითონვე გააკეთა.

რეგულარულიდ, განსაზღვრულ სათებში, რომ დრო
უჩინდ არ დაკეპირებოდა, შეუდგებოდა მაცადინობას.
ლილით შეუდგებოდა უფრო მძიმე სამაცადინოს—
პოლიტეკნიკის, ისტორიის, და ორ საათამდის,
სადილობაზეს ამ კუთხეში იყო; მე მივდიოდი იქ
უცხო ენებში სამეცადინოდ. არ იყო ისეთი დღე,
რომ მას არ ემაცადინა, საღმე წასულიყო. რაც უნ-
და უდიდესი ნიჭის პატრიოტი იყოს აღამიანი, ას-
თი მედგარი შრომის გარეშე არ შეიძლება რაიმეს
მთავრობის. ნასაღილების მიღიოდა ან სასეიროდ, ან
იქვე ბელეტრისტიკის, ახალი ეურნალების საკით-
ხავად. დროის ეს ჰუსტი განაწილება ბავშვობი-
დანავე დასწერდა, ამიტომაც ბევრის გაკეთება მო-
აცირო.

მას ძალიან უკარდა ენები: გერმანული, ფრან-
გული, და მათ შესწავლის ძალიან დიდ ყურადღე-
ბას აქცევდა. მას შერჩეული ჰქონდა ყველა სათა-
ნადო ლექსიკონი. უკანონო ფრანგული მენების ცხრა-
ლი იხე შესიერად ჰქონდა დაწერილი, რომ დაბჭ-
დიოს პავარა.

განსაკუთრებით დახმარებული ამხანგები სკოლაში არა ცყოლია, მაგრამ სკოლის ამხანგები კარგად ეცყოლობოდნენ. სკოლაში ხშირად ადრიანიდ მაღილოდა, რომ დახმარებოდა ვინმეს ამოცანების გამოყვანასა და ძველ ენებში, რომლებიც ძალიან კარგად იკვიდა, აგრეთვე ახალ ენებშიც.

საფურნალო-ლიტერატურული მუსაობის ნიჭი შან
ძალიან აღრე გამოამყალენა. სიმბირსკის გიმნაზიის
სიტკივიერების მასწავლებელი ვლადიმერ ილიჩის ხელს
უწერდა პლუსით, თანაც ძალზე აქებდა. ის მუდაშ
ეუბნებოდა დედაჩვენს: თქვენი ვაჟი ლიტერატურო
გახ უგამა, ისე დარაგებულია შექმა.



ტერენიში ქოქი



მალვა თაგავარვილი

წელს, 10 ოქტომბერი, სრულდება ასი წელი რუსთის სახელგანთქმული პოეტის ალექსანდრე პუშკინის გარდაცვალებიდან.

ალექსანდრე პუშკინი დაიბადა 1799 წელს. მამამისს ყმები ჰყავდა, დროსტარება უყვარდა და შეიღს უურადღებას არ აქცევდა. დედამისი აბისინელი თავდის შთამომავალი იყო. რაც წლის იყო პუშკინი, როდესაც ლექსების წერა დაიწყო. ის მეტისმეტად ცელქი იყო, მაგრამ ძალიან ბევრს კითხულობდა. ლენინგრადის მახლობლად არის ე. ჭ. დეტსკოე სელო, რომელსაც მეფის დროს ცარსკოე სელო ერქვა. იქ იყო სასწავლებელი — ლიცეი. ამ სასწავლებელში სწავლობდა მომავალი დიდი პოეტი. როდესაც დაამთავრა ლიცეი, პუშკინმა პეტერბურგში დაიწყო სამსახური და დროსტარებას მიბყო ხელი.

ამ დროს მეფედ იყო ალექსანდრე პირველი. რუსეთი ცუდ დღეში იყო, ყველგან სიღატაე და უუფლებობა მეფობდა. ყმები საშინელ დღეში იყვნენ, მათი გმინვა გულს ზარავდა. პუშკინი ხედავდა ყოველივე ამას და ლექსში „სოფელი“ ასე აღწერა გლეხობის აუტანელი ყოფა:

იღვრება ცრემლი, გაისმის კვნესა,
განგებამ ხალხს რომ მიუჩინა და მიაკუთნა,
მაგრამ გულცივ და უსამართლო ბატონებს დღესაც
არ ესმის ხალხის... მებატონებმ დაისაკუთრა
შრომა, სახლკარი, დრო და ოფლი ზიწის მონისა,
სხვის გუთან მისდევს მათრახებით წინ გაგდებული
ბრძო მონებისა, რომ ყანა წნას გამდიდრებული
გულდახურული მებატონისა...

მეფე ალექსანდრე პირველს ხელთ ჩაუვარდა პუშკინის ლექსები და განრისხდა. მან გადაწყვიტა ციმბირში გადაესახლებინა პუშკინი, მაგრამ პოეტის მეგობრებმა იმდენი მოახერხეს, რომ პუშკინი ციმბირის ნაცვლად ეკატერინოსლავში (ახლანდელ ტერიტორია გადასახლეს) გადასახლეს (1820 წ.). იქ მისი უფროსი იყო გენერალი ინზოვი, რომელმაც ნება დართო პუშკინს გენერალ რაევსკის წაპყოლოდა ყირიმში; მალე ინზოვის კანცელირია ეკატერინოსლავიდან კიშინევში (ზესარაბაში) გადაიტანეს, და პუშკინმაც იქ ამოყო თავი. იქ ის დაუხალოვდა მეფის მთავრობისადმი მტრულად განწყობილ პირებს, ფარული საზოგადოების წევრებს, და პუშკინს თანდათან ჭუროდაუჭრო მეტად ეზიზღებოდა მეფე და მისი

დამქაშები, რომლებიც თავისუფლად ამოსუნთქვის უშუალებასაც არ იძლევდნენ.

მეგობრების დახმარებით, პუშკინს 1823 წელს წება დართეს ოდესაში ეცხოვდა. იქ გენერალ-გუბერნატორად იყო ვორონცოვი, რომელიც პირველად კარგად შეხვდა პოეტს, მაგრამ რაღაც პუშკინი მას არ ელაქუცებოდა, მალე შეიძულა. წამდაუშუმ აბეზ-ლებდა პეტერბურგში და თხოულობდა ოდესიდან გამაცალეთო. პეტერბურგიდან, მართლაც, მალე მოვიდა ბრძანება: პუშკინი გადასახლეთ მშობლიბის მამულში სოფელ მიხაილოვსკოეში (პსკოვის გუბერნია) მთავრობის მეთვალყურეობითო. ეს მოხდა 1823 წელს.

რომ იტყვიან „ზოგი ჭირი მარგებელიაო“, სწორედ ისე მოხდა: ეკატერინოსლავში, ყირიმშა, კიშენეევსა და ოდესაში ყოფნისას პუშკინმა ბევრი რამ დაწერა. საზოგადოება აღტაცებით შეხვდა მის თხზულებებს. სოფელ მიხაილოვსკოეში ყოფნა კიდევ უფრო ხელსაყრელი გამოდგა მისი შემოქმედებისათვის — მან აქაც ბევრი რომ დაწერა.

1825 წელს უცრად გარდაიცვალა იმპერატორი ალექსანდრე პირველი. ეს მომენტი გამოიყენეს დეკაბრისტებმა და უჯანყება მოაწყეს პეტერბურგში. დეკაბრისტები მიზნად ისახავდნენ თვითმკრინბელობის დამხობას ან მის შეცვლას შეზღუდული ხელისუფლებით, აგრეთვე სურდათ ბატონიშიმბის გაუქმება. პუშკინი თანაუგრძნობდა დეკაბრისტებს და მათ შორის მეგობრებიც ჰყავდა. ალექსანდრე I-ის შემდეგ ტახტზე ასულმა ნიკოლოზ I-ლმა სისხლში ჩაიხრიო დეკაბრისტების აჯანყება, ხუთი მთავარი ხელმძღვანელი ჩამოახრჩეს და პუშკინსაც ცუდი ღლე დაადგებოდა, ვინაიდან ბევრ დეკაბრისტს უპოვნეს მთავრობის საწინააღმდეგო ლექსები, რომლებიც პუშკინის მიერ იყო დაწერილი, მაგრამ კარამზინმა და უკავესკმ (მწერლები იყვნენ, პუშკინის მეგობრები) პუშკინის გადასახრჩნად ასეთი ხერხი იხმარეს: მათ ურჩიეს ნიკოლოზ I-ლს — პუშკინი ნიკიტერი პოეტია და მისი კალამი მთავრობის სასარგებლოდ უნდა გამოვიყენოთო. ნიკოლოზ I-ს ჭერაში დაუჯდა ეს რჩევა, სასწრაფოდ ჩამოაყენანა პუშკინი პეტერბურგში და შეეკითხა: პეტერბურგში რომ ყოფილიყავით, მიიღებდით თუ არა მონაწილეობას აჯანყებაშიო? პუშკინმა უშიშრიად უპასუხა მეფეს:

„უეჭველად, ხელმწიფევ· ყველა ჩემი შევობარი იღებდა მონაწილეობას შეთქმულებაში და მე როგორ შემძლო მონაწილეობა არ მიმეღლო“. მეფემ თავისუფლება აღუთქვა, თუ კი პუშკინი სიტყვას მისცემდა, რომ გარდაიქმნებოდა. დიდხანს დუმდა პოეტი და

ბოლოს უთხრა— ვეცდები გარდავიქმნეო.

პუშკინმა მოსკოვი აირჩია საცხოვრებლად. ის ხიბ-რანვარს მოხდა დუელი, დანტესის ტყვია მუცელში ლავდა საზოგადოებას, მას ყველგან ეპატიუებოდ— მოხვდა პუშკინს, რომელიც ორი დღის შემდეგ საშინენი მეფემ მას მეთვალყურედ მიუჩინა ქანდარმების გენერალი ბენკენდორფი, რომლის ნებართვის გარეშე აუშეინს ერთი ქალაქიდან მეორე ქალაქში წასვლის უფლებაც არ ჰქონდა, აგრეთვე ეკრძალებოდა თავისი თხზულებების ვისთვისმე წაკითხვა. რასაც დაწერდა, ბენკენდორფისათვის უნდა გაეგზავნა, ბენკერდორფი კი ვინმეს, თავის მოხელეს წაკითხებდა და მერე მეფეს წარუდგნდა დასკვნას.

საშინელ დღეში იყო პუშკინი, რომელსაც წამდა-უწევ თვალყურს ადევნებდენ, არავითარ გასაქანს არ აძლევდნენ და თხზულებებს ან სულ არ უბეჭდავდნენ, ან ისე უმახინჯებდნენ, რომ პოეტს ჯავრით გული უსკდებოდა. 1829 წელს პუშკინი ამიერკავკასიის რუსულ არმიაში წამოვიდა, ხოლო მალე ისევ პეტერბურგში დაბრუნდა. 1831 წელს მან შეირთო მეტისმეტად ლამაზი ქალი— ნატალია გონჩაროვა. პუშკინის ცოლი— ფუქსავატი ქალი— ძალიან მოეწონა მეფე ნიკოლოზ პირველს. ნატალია გონჩაროვა უარებელ ფულს ხარჯავდა, პოეტი ვალებში ჩავარდა, ნერვიოლობდა, წერისათვის აღარცდო ჰქონდა და არც განწყობილება, უნდოდა სო-

ფელში წასულიყო, მაგრამ მეუემ ამის ნება არ მისცა, ამ დროს კრიტიკაც ზურგი აქცია, უნიჭო მუშარლად მიიჩნია ბუმბერაზი პოეტი. პუშკინის ცოლი უმრთებული წონდა აგრეთვე ფრანგ ბარონს— დანტეს. პუშკინის აბრახებდა მეფისა და დანტესის თავხედური ქედა მის ბოლოს უთხრა— ვეცდები გარდავიქმნეო.

ცოლთან და დუელში გამოიწვია დანტესი. 1837 წ. 27

პუშკინმა მოსკოვი აირჩია საცხოვრებლად. ის ხიბ-რანვარს მოხდა დუელი, დანტესის ტყვია მუცელში ლავდა საზოგადოებას, მას ყველგან ეპატიუებოდ— მოხვდა პუშკინს, რომელიც ორი დღის შემდეგ საშინენი მეფემ წამებით გარდაიცვალა. მშრომელები ააშფოთა პოეტის სიკვდილმა, მეფემ და მისმა დამქაშება კი გაიხარეს, ეინაიდან თვითმშერობელობის მტერი ჩამოიშორეს.


მიუხედავად იმისა, რომ ალ. პუშკინი ახალგაზრდა გარდაიცვალა (1799-1837), მას აუარებელი ნაწერი დარჩა; ის წერდა ლირიკულ ლექსებს, პოემებს, დრამებს, მოთხრობებს, წე-

რდა გასაგები, ლამაზი ენით. მისი რითმები ხიბლავს მეტასტელს, კითხულობ მის ნაწერებს, წაიკითხავ რამდენჯერმე და კიდევ სიამოვნებით შეგიძლია დაუსრულებლივ იკითხო.

პუშკინი კარგად შეაფასა მეფის ხელისუფლებამ, როგორც თავისი მტერი, და ამიტომაც იყო, რომ ბუმბერაზ პოეტს სიცოცხლე გაუმწარეს და მკვდარსაც კი არ აღირეს წესიერი დამარხვა.

პუშკინი გრძნობდა თავის ძალას და ამიტომაც ამბობდა:

მოყვარულ ბალბში არ მოკვდება ჩემი სუფევა, რადგან სიკეთეს უგალობდა ჩემი ჩომგური, რადგან ვადიდე ჩვენს სასტიკ დროს თავისუფლება და შევივრდომე ყველა ჩაგრული.



ლუცეი—აქ სწავლობდა პუშკინი.



პირველი განცხადება

ა. თომაშვილი



დიდ დარბაზში, საღაც ძვირფას ჩარჩოებიდან მედიდურად გამოიყურებოდნენ მეფისა და მისი გვარეულობის პორტრეტები, რამდენიმე კაცი იცდიდა. ოვითეულ მათგანს თან ახლდა 11-12 წლის ბიჭი. მოზრდილები ცოტა არ იყოს ღელავდნენ. უკვე ნახევარი სათო ელოდებოდნენ განათლების მინისტრს, და ის კი არსად ჩანდა. ერთ-ერთი მათგანი, აღმირალის სახეიმა ტანსაცმელში გამოშუობილი მომცრო მოხუცი, მოთმინებიდან გამოვიდა და გამშურალი შეეკითხა მორიგე მოხელეს:

— მისი აღმატებულება მიგვიღებს თუ არა დღეს?

მოხელემ ცივი, შემცრალი ხმით უპასუხა:

— მაპატივეთ, თქვენო აღმატებულებავ, მაგრამ მისი აღმატებულება ჯერ ისევ საპირფარეშო მაგიდასთან ზის და ირთობა.

— მე მინდა თითონ მინისტრი, და არა მისი მორთულობა, — ხმამაღლა მიაძახა გაბრაზებულმა აღმირალმა. ლოდინისაგან დაქანცულობა სხვებსაც ემჩნეოდათ, ღელავდნენ. ბავშვები კი ჩუმჩუმად გასცემროდნენ ერთიმეორეს. ერთ ადგილზე მშეიდად ვერ ჩერდებოდნენ და თავისი მოუსვენრობით უფრო აძრაზებდნენ უფროსებს. პატარა შავგრძემანი ბიჭი, რომლის ხელი მაგრად ეჭირა შავფრაკიან კაცს, უცებ მოტრიალდა და მაიმუნივით დაემანჭა იქვე მეზობლად მყოფ თავის ტოლ ბიჭებს. მათ სიცილი წასკდათ.

— მიშელ, იყავი მშვიდად, — მისცა მას შენიშვნა შავფრაკიანმა კაცმა.

ქერათმანი, ჩასკვილი, ღაულაჟა ბიჭი, რომელიც აღმირალს ახლდა, ღია ფერის თვალებით გაოცებული ათვალიერებდა იქვე მის ახლოს აწოშილ, გამხდარ, თვალებგადმოკაჯლულ ბიჭს.

— ვანია, — მიმართა აღმირალმა პუშჩინმა ქერათმიანს, — მიდი ჩამოართვი ხელი ვილია კუხელეკერს, — უჩვენა მან აწოშილ გამხდარ ყმაშვილზე, — და გაისეირნეთ დარბაზში. ბიჭები რაღაც მორიდებით მცუახლოვდნენ ერთიმეორეს და ნელნელა დაიწყეს დარბაზში სეირნობა. თან თვალმოუშორებლივ შესკეროდნენ ერთმანეთს. როცა ისინი მიშელ იაკოვლევს მიუახლოვდნენ, მან სჭრაფად გამოუყო მათ ენა და დაემანჭა.

„მაიმუნი“ — ჩაიჩურჩულეს ბავშვებმა და გზა განაგრძეს.

— თქვენ ვინ მოიყვანეთ, ვასილ ლევანის ძეე? — მიმართა აღმირალმა კოხტად გამოშუობილ კაცს.

— ჩემი ძმისწული, სერგეი პუშკინის ვაჟი.

— საშა, მოღი აქ, — დაუძახა მან თავის ძმისწულს. ხუჭუჭა, თვალმარდი ბიჭი, რომელიც ქვეშვეშ გამოიყურებოდა, ზანტი ნაბიჯით მიუახლოვდა მათ. ვილიას შეხედვაზე მას თვალებმა ეშმაკურად გაულიმა და ჩუმად დაუშეყო ყველას დათვალიერება.

ამ დროს მინისტრის კაბინეტიდან გამოვიდა შალალ-შალალი შოხელე, ხელში ქალაჭილებული გადასაცემი.

— ანტონ ანტონისძე დელგიგი! — ამოიკითხა მან. იქ მყოფთ გამოეყო ფერმერიალი, ფუნქულა ბიჭი, ნამდინარევი სახით, და უხალისო ზანტი ნაბიჯით გაემართა მისკენ.

— კამოვსკი! — ამოიკითხა მოხელემ. პატარა, ერთი ნამცეცა ბიჭუნა პაჭაწა ნაბიჯებით ძლივს მივიდა მასთან.

— იაკოვლევ! — ამოიძახა მოხელემ. სწრაფად წამოდგა ადგილიდან მანჭია, შავვერემანი ბიჭი და გასწია მოხელისაკენ.

— ვილგელმ კარლისძე კუხელბეკერი! — უცებ წამოყო თავი მაღალმა, აწოწილმა ბიჭმა. კიდევ უფრო დააჭირა ისედაც გადმოკაკლული თვალები და დაგრეხილი ნააიჯით გასწია მოხელისაკენ. ბაგშევებმა ერთვანეთს გადახედეს და გაელიმათ.

— ალექსანდრე სერგეისძე პუშკინი! — დაიძახა მან. იგანე პუშჩინმა თავისი გვარის მსგავსი გვარის გაგონებაზე ყურები დაცემიტა, „ნეტავი ვინ არისო“ — გაიფიქრა მან და თვალები დააცეცა.

მოხელის წინ იდგა ხუჭუჭომიანი, თვალმარდი ყმაწვილი.

ასე შეხვდნენ პირველად საგამოცდო თახაში პუშკინი და მისი ლაცეის მეგობრები ერთობეორეს. მათ გამოცდას თვითონ განათლების მინისტრი ესტრებოლა. მეფის მიერ ახლად დაარსებული ლიცეის დირექტორი მალინოვსკი აძლევდა შეკითხებს ბავშვებს და მშეიღად ელოდა პასუხებს. პუშჩინმა ყველა გააკვირა თავისი მეხსიერებით. ამ პატარა, ცეროდენა ბიჭმა ზეპირად იცოდა ისეთი დიდი ლექსები, რომლების დასსომება მოზრდილებაც კი გაუჭირდებოდათ. იგი ამბობდა ლექსებს ისე გარკვევით, ლამაზად, რომ ყველა იქ დამსწრეზე წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა. ასე დამთავრდა მათი პირველი შეხვედრა. გამომშვიდობებისას მიშა იაკოვლევი ისე სასაცილოდ დაიმანქა, რომ პუშკინმა დაკრიჭა ლამაზი თეთრი კბილები და პუშჩინს გვერდში ნელი მუჯლუგუნი წაჲკრა.

ა. კ უ მ ა ნ ი ნ

ქარიშხალი ცას აბნელებს,
ატრიალებს თოვლის ფიფქებს,
ხან ლრიალებს როგორც მხეცი,
ხან ბაგშევით ჩაიტირებს.

ხან ძელისძეელ სახურავზე
ქარი ჩალას ახმაურებს,
და ხან, როგორც ლამის მგზავრი,
ჩვენს ფანჯრებზე აკაკუნებს.

ქვენი ქოხი ძელისძეელი
ბნელია და მოლუშული.
შენ რალად ხარ, ჩემო ბები,
ფანჯარასთან მინაბული?

თუ ქარიშხლის ხმაურობაშ,
მეგობარო, შენც დაგქანცა,
იქნება სთვლემ, მოწყვნილი
შენს განუყრელ თითისტართან?

შევსვათ, ჩემო მეგობარო,
მინდა დარდი გულს არ ლრლნიდეს,
შევსვათ, მომე ეგ სასმისი,
ეგებ გული გახალისდეს.

მიგალობე — იადონი
ვით ცხოვრობდა ზღვის ნაპირზე,
ან მიძლერე, თუ ქალწული
როგორ მიდის წყაროს წყალზე.

ქარიშხალი ცას აბნელებს,
ატრიალებს თოვლის ფიფქებს,
ხან ლრიალებს როგორც მხეცი,
ხან ბაგშევით ჩაიტირებს.

შევსვათ, ჩემო მეგობარო,
მინდა დარდი გულს არ ლრლნიდეს,
შევსვათ, მომე ეგ სასმისი,
ეგებ გული გახალისდეს. თარგმნა რ. ალლაძემ.
I საც. მე-7 კლ. მოწაფე.

კლემპის სავარაურო ცერემონიის ჩემპიანთმები

კლემპის კოლეგიალურობი

ტფილის აღვიძებდა ექლესიების ზარების რეკვა. ქვაშეთი ეხმატურებოდა კალოუბანს, მანათის მთაზე წამომდგარი ელიას საყდარი გასძახოდა მანადავითის სამრეკლოზე აწერიალებულ ზარებს და ტფილის ამ/ოცდაერთ სამრეკლოს აგვირგვინებდა სიონის ტაძრის უზარმაზარი ზარის გუვუნი.

ქალაქის გულში კი ცხოვრება ვაჭრობით იწყებოდა. თათრის მოედნის შუაში აღმართული ბათური იზიდავდა ხალხს.

ძირს მიწაზე გორაკებად ეყარა ბორჩალოდან მოტანილი ბადრიჯანი, ხახვი, კომბოსტო; მდინარესავით თეთრ-ყვითელ ფერებში არეული მოჩანდა თუშეთისა და ყარაბახის ცხვარი; ორთაჭალისა და დილმის მწვანილი: წითელი ბოლოვი, შუშა კიტრი, ქორფა ხახვი, ხაქები და შემქობილი ყარაბილეულთა არშიყი ხმით, უხვად ელაგა თაბახებსა და ჭილობებზე. თვალს ეცემოდა შიხლის ყველი, ყარაიას ბრინჯი, და ყველა ამას, როგორც ლაზათი, აღზევნის მარილი ეყარა ზედ.

წვიმაში ტალახიან და სიცხეში მტვრიან ვიწრო ქუჩებში აქ-იქ გაიხრიალებდნენ ორცხნშებმული დროუკები, ლექაქიანი მანდილოსნებით შიგ და გამყოლი ბიჭებით, დროუკის უკან შემომსხდარნით, და ჩოხოსანი ცხენოსნები, მიჭრიალებდნენ ღია და ჩარდახიანი ურმები.

ოცდაექვსი დღის მგზავრობით დაღლილი პუშკინი მაისის მცხუნვარე შუადღეს გამოვიდა გარეთ. ათვალიერებდა ქალაქს. ოქრომშედლების რიგი სახეზე წარუშლელი ღიმილით ჩაიარა. ათვალიერებდა ხანჯლებს, ხმლებს, ქამრებს, აზართეშებს. სიჯავდა იარაღზე გულმოდგინე ხელით მოხატულ ზარნიშს და სევადს, თითებზე იქეთებდა ლალისა და ზურმუხტის შსეილთვალა ბეჭდებს. ეკითხებოდა ვერცხლისძეწკვიანი და ვერცხლითვე მოვარაყებული ყანწების შესახებ. აქ-იქ თერძების დუქნების გარეთ ეკიდა სხვადასხვა ფერის, სპილოს ძვლის მასრებით შემქული, ჩოხა-ახალუხი, გამოლაგებული იყო ფერადი, გრძელებწვიანი ფაფახები, აზიური უნავირები, ყაბალახები, მათრახები; ღია ცის ქვეშ, დუქნების წინ, ირანელი დალაქები პარსავდნენ თავს და კრეჭდნენ წვერებს, მათ არ უშლიდათ არც გამვლელთა შეხლა-შემოხლა, არც მათი ხმაური.

შუა ქუჩაში კისრების ქნევით, ცოხნით და ფეხების ტლაშვნით ჩაიარა აქლემების ქარავანმა, რომლებიც, უზარმაზარი ხურჯინებით და ყუთებით დატვირთულნი, ქარვასლებისაკენ მიემართებოდნენ.

ჭუდმოხდილი, შავ უბრალო სერთუქში გამოწყობილი, იდგა პუშკინი და გასცეკროდა აზიური ქალაქის სანახაობას.


მიუჟანდოვდა მოხარუშული მსხლების გამყიდველ პატარა ბიჭებს და ჰერთა ფასი.

— სამი ცალი ერთი უზალთუნი, — უპასუხა ბიჭმა.

მაგრამ ბიჭმა უცხო შეხედულების კაცს უზალთუნი რომ ვერ გააგებინა, სამი თითის ჩენენებით და დამტვრეული რუსულით უთხრა:

— პალავინა აბაზ.

პუშკინმა აბაზი დუშეთში გაიკო: ღამით ჩამოსულს, ჭილაშვილთან ღამის გასათევად მისულ,



სახლი ტფილისში, სადაც ცხოვრობდა პუშკინი

გამყოლმა აბაზი გადაახდევინა.

მსხლის გამყიდველ ბიჭს ხუმრობით კისერში წაჲკრა და სპილენძის შაურიანები მიაწოდა.

მოედნისაკენ ჩაიარა.

იქ უფრო ცოცხალი და ახმაურებული სანახაობა წარმოუდგა თვალწინ. არ იცოდა ვისკენ მიეხედა, ვისთვის მოესმინა.

გაჭრები გაჭკიობდნენ მაღალი, სიმღერასავით აწეული ხმით:

— პაპ, პაპ! პატარძლის მოკრეფილი მწვანილი!

— შუშა კიტრი! შუშა კიტრი!

— ხახვი ბორჩალო! ხახვი ბორჩალო!

და ყვირილისან გაოფლიანებულ სახეებს შავებით იშმენდდნენ. უყურებდა პუშკინი ამ სანახაობას ბავშვური სიხარულით შეპყრობილი, გამოელაპარაკებოდა ხან ერთს, ხან მეორეს, ათვალიერებდა და უკვირდებოდა ყოველ ადამიანს.

თავის მხრივ ხალხიც უცემრდა მას. ისინიც პირველად ხედავდნენ ასეთი გრძნობის იდამარცნ.

მათ განსაკუთრებით აკვირებდა შისი უცნაური ქილვაშები, გრძელი გრუზა თმა, მოცინარი სახე და თითქმის უსაქმური სიარული. ამ აჩოქვლებულ უცხო ბუნების ხალხში მას სურდა მცირე ხნით მაიც დაევიწყა თავისი ჯარი, გონებიდან ამოებალა იმ ადამიანთა სახეები, რომელთაც პეტერბურგიდან და მოსკოვიდან გამოიქცა.

ამ მორევით მოელვარე ხალხში, სადაც ტევა არ იყო, მოჭრიალდა ჩარდახიანი ურემი. შევი, ბანჯგვლიანი კამეჩები ძლივს იკვლევდნენ გზას. მაღალ-თვლებიანი ფარდაგით შელამაზებული ურემი ნჯლრევითა და რევეით ავიდა მოედნიდან აღმართოვან ქუჩაზე.

გამოჩნდა შევ მწოლარე ავადმყოფი, თეთრ სასოფტმალზე გაყვითლებული სახე ედო; როგორც ეტყობოდა, მოსარჩენად სალოცავებზე მიჰყავდათ.

ცოტა ხნის შემდეგ ამ ხალხში ცხენოსანი სამხედრო პირი გამოჩნდა. ცხენის ტორისა და მბზინავი პაგონების შიშით ხალხმა სწრაფად დაუთმო გზა.

პუშკინმა მასზე შეაჩერა თვალი. მის პაგონებზე თეთრი ლითონის ძაფით ამოქარებული იყო რიცხვი „44“.

პუშკინს გონებაში ნაცნობმა სახემ გაუელვა და ხმამალლა შესძახა:

- ჩვენებურო, რომელი პოლკიდან ხართ?
- ნიკეგორონის დრაგუნთა,— მიიღო პასუხი.
- პორუჩიკ პანკოვს იცნობთ?
- ჩვენი პოლკის ოფიცერია.
- სად ვნახავ?
- ყარალაჯში.
- გაღაეცით, რომ ნახეთ ალექსანდრე პუშკინი და რომ მე ვინახულებ მას.

მხედარი განციფრდა. პასუხი ვეღარ მოიფიქრა, ოლონდაც ბუტბუტით გაიმეორა: „ალექსანდრე პუშკინი!“ კარგახანს ასეთ მდგომარეობაში იყო, მერე მხედრული სალაში მისცა და ვაემართა.

პუშკინმა მოედანი გადაჭრა და აბანოებისაკენ შეუხვია. ბებერ დედაკაცებს, დანაოჭებული შავ-გვრემანი სახეებით, ოდნავ მოხრილთ, კარგა დიდ შალებში გახვეულთ, რომელთაც რამდენიმე ჩაყვითლებული კბილი მოუჩანდათ და წამდაუშეულ ბურნუთს ყნოსავდნენ, ხელში ბოხჩები ეჭირათ, სადაც საცვლებთან ერთად გამოხვეული პქნდათ პური და ყველიც, რომელსაც გოგირდის ცხელ წყალში ალბობდენ და სიამოვნებით შეექცეოდნენ.

— სათენიკ, ბოლჩა გამომართვი, დავილალე...

— შუშიკ, შე ჯანგასა წყვეტო, ჩარა წამოდი, — ეხმაურებოდნენ ერთმანეთს და, შიგადაშიგ ცხვირის ცემინებით, თითქმის შუა ქუჩით მიღიოდნენ.

პუშკინმა გვერდზე ჩაუარა, გადახედა და ხმა-ამოულებლივ შევიდა თალოვან კარში.

ბინდისას აბანოდან ბრუნდებოდა. გოგირდის ბუნებრივ ცხელ წყალში ბანაობისა და მექინის მიერ

ოსტატური დაზელვის შემდეგ, თავს მსუბუქად და ლალად გრძნობდა. წყალმა თმები უფრო და უფრო კუჭა, აუბზინა, სახეზე ოდნავი სიწითლე ჭრის მარტინი ლრმა, ცისფერი ოვალები კმაყოფილებით აევსო. ჩარი ნაბიჯით მოდიოდა მარტო. მზე ჩადიოდა. მისი სხივები მხოლოდ სეიდაბადსა და ნარიყალის ციხის ჩამოგრეულ კედლებს შერჩენადა. გრილი და საამური ნიავი მოქროდა კოჯრის მთიდან. მთელი დღის სიცხის შემდეგ აგრილებულ სალამოზე მოსახლეობა ბანებზე გამოვიდა და ტფილისისათვის ჩვეულ გართობას მიეცა.

ამ დროს დაირის ხმა შემოესმა. აიხედა მარცხნივ, ბანზე ახალგაზრდა ქალები კისკისებდნენ. ერთი მათვანი, ტანჭერწერტა, ოქრომკედით ნაქარგი გულისპირ-სარტყელით წელზე და კოჭებამდე გრძელი კაბით, რომელსაც თხელი ლეჩაქის თავსაბურავი თმებზე და უკან მხრებზე გადაეგდო, დაირის უკრავდა. მისი გრძელი და სწორი თითები დაირის ზედაპირზე ცერიალით ხტოდნენ. დაირის შიგნით სადაფიან რკალზე მობმული უღარუნები წყრიალებდნენ და, დროდადრო, ნახევარ წრედ ჩამომდგარი ქალები ტაშისკვრასთან ერთად დასტალურად შესძახოდნენ:

— ტაში! ტაში!

იქვე პატარა დაბალ სკამზე და ბანზე გადაფენილ ფარდავზე ისხდნენ ლეჩაქსა და ჩიხტიკოქში გამოწყობილნი მოხუცი ქალები. მათი შეთეთრებული კავები იფარებოდა აბრეშუმის ნაირფეროვანი ბალდადებით. ჩიხტზე აღმასთვლებიანი შუბლის ქინძისითავები უბრატინავდათ, მაჯებსა და თითებზე კიბეებიდან და სამაჯურები. მარჯნისა და ქარგის კრიალოსნებს მოუბეზრებლად ათამაშებდნენ. მხრებზე ასხიათ დარიაის შალი. სახეზე ნათლად ემჩნევათ ფერ-უმარილი. ისინი შესცერიან ახალგაზრდებს, ტკბებიან მათი მხიარულობით. შორიახლოს დარბიან და კოტრიალებენ გოგო-ბიჭები, აჯავრებენ უფროსებს ცეკვაში, სიმღერაში, დაკვრაში. საერთო მხიარულებაში მათი უიგილ-ხივილიც გაისმის. რამდენიმე შენობის იქითაც ასეთივე სურათი იყო.

მოაბიჯებდა პუშკინი დაირის ხების მოსმენით. მისი მზერა ერთი ბანიდან მეორე ბანზე გადადიოდა.

უცდათ კარგა მოშორებით დუდუკის ხმა გაისმა. ის ჰაერში ვრცელდებოდა ტაბილ, გულში ჩამწედომ ბგერებად. ეს ხმა თანდათან ახლოვდებოდა. პუშკინის გულისყური იქით მიიმართა. ნაბიჯს აუჩარა. არ გისულა რამდენიმე წუთი, რომ მოქეიფენიც გამოჩნდნენ. ხელადებით და ღვინით საეს ყანწებით ისინი. ბანიდან ბანზე გადადიოდნენ. ახალუხის საკინძი გადაეხსნათ. შავი ჩოხის გრძელი კალთები ვერცხლის წვრილ ქამრებში ჩაეკეცათ. ბოხხები უკა კეფაზე გადაეწიათ და ზოგნი ღილინით, ზოგნი სიმღერით, ზოგნი ცეკვით მოიწევდნენ წინ. ისინი ძირს, ქუჩაში არ ჩადიოდნენ. გაღმოლიოდნენ ბა-



ხიდან ბანზე, ზოგან ჩერდებოლნენ, ჩამუქნავლნენ, პატარა საღლევრძელის ამბობდნენ. შესვამდნენ და განაცრძობდნენ სკლის. უკან დუდუკი მოჰყებოდათ. ბანებზე მოცეკვავ ქალები აღფრთოვნებულნი ელოდნენ მათ მოახლოებას. დაირას უფრო მარჯვედ შემოჰკრეს და უფრო ხალისიანად შემოუარეს წრეს. როდესაც მოქეიფენი ქალებს მიუახლოვდნენ, ერთმა ახლოაზრდამ მარცხენა ხელი გულზე დაიდო და სათნა, მწყურვალე, გრძნობით აღსავს ხმით შემოსძახა:

მე ბანი-ბანაღ გეძებლი,
შენ ბალი-ბალჩაღ გეძინა...

სიმღერის დამთაცრებისას მხოლოდ წუთით შეჩერდნენ, ბანოვანები აღლევრძელეს, გულისგამხარებელი სიტყვები უთხრეს და ისევ ბანი-ბან გაუღენენ გზას.

ყარაჩოლელნი ქუჩის მოსახვევს ამოეფარნენ. მათ გან მხოლოდ „ჯან აი ჯან“ შეძახილები და დუღუკის გამაბრუებელი ხმა აღწევდა, ისიც თანდათან ორთავალის ბალებისაკენ მიიწევდა და ნელდებოდა.

„ნეტავი ვინ არის ეს ბედნიერებამდე კმაყოფილი ხალხი?“ — წაილაპარაკა უჩევულო სანახაობით განცვაფრებულმა — პუშკინმა.

აზიური ქალაქის თავისებურებამ მიიჩიდა. მოესურვა ღრმად გასცნობოდა მის ცხოვრებას.

შუაგულ მეიდნიდან ისნის ყელისაკენ გაეშურა. მეტების ხილზე გადასვლისას შესცეკროდა აგურის გალავნით შემოვლებულს მტკვარზე გადმომცემირალს ციხეს. ხიდის ქვეშ მტკვარი მორევად ბუღრაობდა. ის ღრმინდა მის ნაპირებზე ამოშენებულ, საუკუნეების წინათ საძირკვლებად ჩაყრილ ქვა-კლდოვან კედლებს.

ხიდიდან გადასვლისას მარცხნივ გაუხვია. ამ ქუჩაზე რამდენიმე ნაბიჯი რომ გადადგა, თვისკენ მომავალი ურემი დაინახა.

შეჩერდა. შეხედა ურემს. შეხედა ქუჩასაც. თვალით გაზომა ერთიც და მეორეც. დარწმუნდა, რომ მისი გასასვლელი ადგილი აღარ რჩებოდა, დაუკადა ურმის გამოვლის და მერე იმავე გზით თვითონ გაემართა. იხედებოდა მარჯვნივ და მარცხნივ. ზოგან კარგა მაღალი ქეის კედლები იყო ამოშენებული, ზოგან აგურის, ხვდებოდა სარებით შემოლობილი ეზოებიც, ზოგს ეზო-კარს ღობე შემონგრეოდა და დერეფანი პირდაპირ ქუჩაში გადმომდვარიყო.

ერთს ასეთ ეზოში შევიდა. ტფილისელი მოსახლის ბინის ნახვა სურდა. პატარა, სუფთად დაგვიღ ეზოს უცბათ მიცოავლო თვალი.

ეზოში იდგა თუთისა და ბროჭულის ხეები. რამდენიმე გოგო-ბიჭი ამ ხეს შემობჭეოდა. ხელში თოხივე წვერიდან გაშლილი ჭილობი ეჭირათ.

ბაგშვები მაღლა იცქირებოდნენ. დროდადრო ხის ტოტები ირხოდა და მაღლიდან ჭილობზე ჩაშვებული ხართულები ცვივოდა.

უცხო კაცის ეზოში შესვლის გამო ბავშვები გაოცდნენ, სახე მისკენ შებრუნეს, მაგრამ უკან-უკან იხევდნენ.

პუშკინმა ალექსიანი განომეტყველებით გაიღიმა. შეერადა ბავშვებს დაახლოებიბოდა. ბავშვები ხესთან აიტუზნენ. მათ ის აკვირებდა, რომ ულვაშები არ ჰქინდა, ნიკაპზე წვერი არ ეტყობოდა, ლოკებზე კი კარგი წვერი ამოსულოდა.

მოლიბრემ ხართუთაშე ხელით ანიჭნა.

ბავშვები დიდხანს გაშტერებული იდგნენ. ხანუცხო კაცს, ხან ერთმანეთ, შესცეკროდნენ.


— ხართუთა უნდა, ერა ხდავ? — წამოიახა ერთმა.

მაშინ ყველაზე უფროსი ბავშვებს შორის, რომელიც, ისევე, როგორც დანარჩენები, ფეხშიშველი იყო და ტანზე ერთი ხელი თეთრი საცვლების მაგვარი შარვალ-ხალათი ეცვა, ოთახისკენ გაიქცა. იმავე წამს მოიჩინა. ხელში უკვე თიხის ჯამი ექირა. ჭილობიდან ჩამდენიმე მუჭა ხართუთა ჯამში ჩაყარა და გამონაღენ წვენისაგან შელებილი ხელებით სტუმარს გაუწოდა.

ბავშვმა ჯამი ისე გაუწოდა, რომ როდესაც მეტავი მთელი თავისი სიგრძით წინ გამართული ჰქონდა, ცდილობდა ტანით უკან დამდგარიყო.

ჯამი გამოართვა. რამდენიმე ცალი შეკამა. მერე ჯამი მიწაზე დადო და ჯიბიდან აბაზიანი ამილო. გაუწოდა ბავშვს. ბავშვი ახლა სანდომიანად მიუახლოვდა. მაშინ პუშკინმა ფული ხელში ჩაუდო და ქოჩირში ხელი წაავლო, რომელიც შუბლთან კარგი დიდად გაზრდილი ჰქონდა. ამის შემდეგ ბავშვები მცირარენ, მაგრამ მაინც მოკრძალებულნი, სახეში შესცეკროდნენ მას.

თოახიდან დერეფანში ხილაბანდმოხული, თალებებიანი ქალი გამოვიდა, ხილაბანდის წვერები ნიკაპის ზევით, ხედ ტუჩებთან ჰქონდა შეკრული.



— ვინ უნდა, ბიჭო? — გასძახა ბავშვებს.

— ხართუთა უნდოდა, აბაზი აჩუქა ზაქროსა — უპასუხა ერთმა ბავშვთაგანმა.

ქალის ხმაზე პუშკინი მისკენ შეტრიალდა. დინჯად მივიდა დერეფანთან და მარჯვენა ხელის ტუჩებთან მიტანით ანიშნა წყალი დაელევინებინა.

მოხუცმა მხოლოდ ერთ წამს შეხედა სახეში, შერე ოთახში შევიდა.

ამ დროს ქალი გამოვიდა და თიხის ფინჯანი გამოიტანა. ფუსტუსით მიირბინა დერეფნის კუთხეში, სადაც ძირშვეტიანი ქვევრი იდგა. ქალმა ქვევრს ხის სახურავი მოხადა და ფინჯანით წყალი ამოიღო.

— უი ჩემს თვალებს, შაბი არ ჩამიგდია, — წამოიძახა მან და თავის ქნევით მღვრივე წყალი ეზოში გადაასხა. შერე ქალმა სტუმარს ქვევრში ჩაახედა და მის უვარებისობაში დაარწმუნა. თვითონ ოთახში შევიდა.



ცოტა ხნის შემდეგ ხელში გამოვიდა გარეთ. სახე კმაყოფილებით სახე პქნდა. ფინჯანში ხელადიდან კუპრივით შავი და სქელი ღვინო დაასხა. მიაწოდა. სახის მთელი გამომეტყველებით უთხრა: „მიირთვით!“

პუშკინს სახე უბრწყინავდა. მაღლობის გამოსახატავად თავს უკრავდა. ძნელი გასაგები იყო, უკვირდა თუ აღტაცებამ შეიძყრო.

ერთი ფინჯანის გამოცლის შემდეგ მოხუცმა მეორედ სთხოვა დალევა, დაუსხა კიდეც, მაგრამ პუშკინმა გადაჭრით იუარა, ორთავე ხელით განზეგასწია ხელადაც და ფინჯანიც.

პუშკინს ოთახში შესვლაც უნდოდა. ამიტომ წამოსულას აყოვებდა. ცოტა ხნის ჩუმად დგომის შემდეგ მიაცემდა ქალს, ორივე მკლავი იდაყვებში მოხარა და ხელები თითების ერთმანეთშე ამოძრავისით თავის ტიტველ საულვაშეშე მიიღო. შემდეგ

ერთი ხელი მოხუცხე მიათითა და მეორე ჰაერში რამდენჯერმე გააწნია, როგორც ეს შეკითხვეს დრულს იციან ხოლმე.

მოხუცი დედაკაცი მაშინვე მიხვდა ვიზეც ეკითხებოდა. დერეფნიში მდგბარე კალატოზის იარაღზე ანიშნა და ხელიც განუსაზღვრელი სიშორის საჩვენებლად გააქნია.

პუშკინი უშენევდა თავს.

ოთახის კარის წინ გასვლისას შიგ შეიხედა. მერე დიასახლის გადახედა. თითო ლია კარისაკენ გაიშვირა და ლოდინის გამომეტყველება მიიღო.

— შებრძანდით, — წარმოთქვა ქალმა.

პუშკინმა სიტყვა გარკვევით ვერ გაიგო, მაგრამ გამოთქმის ხმაზე მიხვდა მის აზრს.

შევიდა ოთახში, შეხედა შავად შებოლილ ჭრს. ფეხის ცერებზე შედგა. ხელი მაღლა ასწია და თოვებით ჭრს მისწვდა.

იატაკი ფილეჭნისა იყო. ქართული ოთხკუთხედი, თხელი აგურები, სუფთად და გულმოდგინედ დაგვილი, უსიამოვნო შთაბეჭდილებას არა ტოვებდა. აგურსა და აგურს შორის დავის დროს დასხმული წყლისაგან მიწა დანესტილიყო, მეტადრე იქ, სადაც ქიმმოტებილი აგურები იყო.

ოთახში მერთალი სინათლე იდგა.

კედელში შეჭრილი ბუხარი ნაცრით საესე და დაჭვარტლული იყო. შიგ ცეცხლი ღვიოდა. ცეცხლზე ქოთანი იდგა. ოდნავ გადახდილ თიხისავე სახურავეს ქვეშიდან ორთქლი ამოღიოდა. კარგად მძლავრად გაისმოდა მისი ღულილის ხმა. ბუხრის მოპირდაპირე კუთხეში კიდობანი იდგა. ეს კიდობანი შელამაზებული იყო დანით ამოჭრილი ნახატებით. როდესაც პუშკინი კიდობანს დააცერდა, მოხუცმა სახურავი ასწია და დაანახეა თორჩეში გამომცხვარი მრგვალი შევი პურები.

ოთახის მარცხნა მხარეს დიდი, კაჭლის ხის ტახტი იდგა. ზედ ეფარა ფარდაგი და რამდენიმე მუთაქა ეწყო. კედელზე ეყიდა დიდი მეცხვარული ხანჯალი, გამოუთლელი ირმის რქები, კუთხეში კი პატარა ხატი, ჩამერალი კანდელით წინ.

ფიქრიანი და მოწყვნილი ათვალიერებდა ოთახს. გულზე მქმედ აწვებოდა სილარიბე, რომელიც ამ ოთხ კედელს შეა იყო მომწყვდეული. გარეთ გასვლისას დიდრონი ლია და ნათელი თვალები სინათლისაგან დაეჭრა.

ახმაბამებდა თვალებს და გუგების ირგვლივ მაინც ჭრელი მოძრავი წრეები ეხატებოდა. როგორც იქნა, დაუბრუნდა სინათლის შეგრძნობის უნარი და თავის დაკვრით ემშვიდობებოდა მოხუცს. ბავშვებმა მხიარული და გახარებული სახეებით გააცილეს უცნაური და უცხო ადამიანი, რის შემდეგაც ხართუთას კრეფას დაუბრუნდნენ.

დიდ ბეჭარს

ლ. მამრელიძე

ბელადო, გიგზავნით წრფელ სალაშს,
 სიხარულს ჩვენს გულში ანაფრენს,
 ძლევა და დიდება შენს ალაშს,
 შენი მზე ქვეყანას ანათებს.
 რიერაჟი წითელი აისის
 მოვფინოთ ველ-მინდვრებს, ვახაროთ:
 — გმირობით, სწავლით და ხალისით
 მოვდივართ, სამშობლოვ ახალო!



კარპი უვიდო

6 0 1 0 6

5 0 6 0 1

ძველმა წელმა უკანასკნელად გაიღვიძა, დაამთ-
ქნარა და გააზმორა.

— კაკ! კაკ! კაკ! — მოისმა კარზე კაკუნი.

— ნახე, ვინ არის, — უთხრა ძველმა წელმა უკანასკნელ დღეს.

უკანასკნელი დღე ზანტად მივიდა კარებთან,
ვიღაცას გამოელაპარაკა და შემობრუნდა:

— დრო მოვიდა. შემოგითვალა, ალექ, ანგა-
რიში ჩამაპარეო.

— დრო? ჰაი დედასა! ნუთუ ისე დავჭერ-
დი, რომ უნდა მომავონონ ადგომა? ძებრი
ვარ თუ?

წამოდგა. სარკეში ჩაიხედა. სულ გათეთრე-
ბულიყო. ერთი კბილი შერჩენდა და ერთგან
თეთრ თმებში შავი თმების ბუჩქი.

— ერთი დღეც — და ესეც აღარ მექნება, —
ჩაილაპარაკა მოხუცმა.

— ეს!

ისევ მოისმა კაკუნი.

— მოვდივარ, მოვდივარ! — და ძველმა წელ-
მა პირზე მტკვარი შეისხა, ზურგზე თოვლი მოი-
ხურა, თავზე ცა დაიხურა, უკანასკნელ დღეს
დაეყრდნო და გამოვიდა. დრო უცდიდა.

— ჰმ... რამდენი ხნისაა და მაინც არ ბერ-
დება, — ჩაილაპარაკა ძველმა წელმა, დროს რომ
შეხედა. — არც დაღლა იცის, არც მოსვენება. ამიტომაა, სხვასაც რომ არ ასვენებს. უკანასკ-
ნელად მაინც მომესვენა ამ ტფილის-ქალაქში.

— წავიდეთ! — უთხრა დრომ ძველ წელს. — უნ-
და მაჩვენო, რა გააკეთე. შენი სახელი, ძმობილო?

— ჰმ... ძმობილო! — ჩაიცინა ძველმა წელ-
მა. — თავს მიტოლებს. ძმობილო კი არა, შვი-
ლის შვილის შვილის შვილის შვილის შვილის
შვილის შვილად გამომადგები.

ხოლო დროს ასე მოახსენა:

— ჩემი სახელია 1936 წელი. წამობრძანდით,
ყველაფერს გიჩვენებთ.

— ტრამვაიში ჩაბრძანდით, — უთხრა ძველმა
წელმა დროს. — მე ძველი ვიწრო ლიანდაგი

ფართოზე გადავაგე 17 კილომეტრის მანძილზე.

— ეს კი კარგი გიქნია, — უთხრა დრომ.

ძველმა წელმა არ იცოდა სწყინდა თუ არა
და ასე უთხრა:

— ახალი გზები გავიყენე ნავთლულისაკენ,
ორთავილისაკენ, ავლაბარში. 80 ახალი ლაშაზი
ვაგონი შევიძინე. ხედავთ ლურჯ ვაგონებს? ჩაე-
ხდეთ.

— არა, მეჩეარება. — უბასუხა დრომ. — ჩემს
ეტლში ჩავსხდეთ.

დროს უცნაური ეტლი ჰქონდა: ცხენები არ
ება, თვლები თავისით ბრუნავდა. როცა ჩასხ-
ნენ, ეტლი თავისით დაიძრა.

— ტროლეიბუსები შევიძინე, — დაიწყო ძველ-
მა წელმა. — ი ტროლეიბუსების გარაუი. მე და-
ვიწყე მისი შენება. ახლა ქუჩები უნდა გაჩვე-
ნოთ. ხომ გრძნობთ, რა რბილად მისრიალებს
თქვენი ეტლი? არ გვანძრევს, არ გვაწუხებს.
მე 30 ქუჩაზე მოვასხი ისფალტი.

— ოჰო! — წამოიძახა დრომ. — შარშან ამ
დროს აქ ძალზე დამანჯლრია მამაშენმა.

— ხა... ხა... შარშან რა იყო! თქვენ ახლა
ნახეთ... 200.000 კვადრატული მეტრი ქუჩა მო-
ვასფალტე. პლეხანოვის პროსპექტი, უორესის,
დავითაშვილისა, ჭონებისა, საბჭოსი, სანაპირო
და კიდევ ბევრი, ბევრი ქუჩა მოვასფალტე,
ყველა როგორ ჩამოვითვალო. ი, მტკვრის მარ-
ჯვენა ტოტი მაღათვების კუნძულთან. აქ წინათ
ჭაობი იყო და შმორი. ახლა ასფალტიანი ქუჩა.
ი რა გავაკეთე. ხომ ყოჩალი ვარ?

— ყოჩალი ხარ, ბევერო? — ჰქითხა დრომ.
უკანასკნელმა დღემ სიტყვა ჩაურთო:

— ბევრი იმუშავა ძველმა წელმა, ამიტომ
დაბერდა. ეს, გული მწყდება, რომ ტფილის
უნდა მოვშორდე. დროვ, თქვენ სხვისი მუშაო-
ბის მეთვალყურეობის გარდა აკეთებთ რამეს?

დრომ ისე მრისხანედ შეხედა უკანასკნელ
დღეს, რომ საწყალი უკანასკნელი დღე მოიკ-
რუნჩხა და აბუზულ წიწილასავით აწრიპინდა:

— გამიგონია, თქვენ ძალზე ბეტერი უნდა იყოთ. ალბათ, ნეკრესის ქარებიც გექნებათ. წამობრძანდით გოგირდის აბანოში. ჩვენ აქ ახალი ბალნეოლოგიური კურორტის შენება დავიწყეთ — 600 ჰექტარზე.

დრომ ისე გააქანა ეტლი, რომ საწყალი უკანასკნელი დღე კინაღამ ჩამოვარდა. ეტლი ფუნიკულორზე გაჩერდა.

— აქ ვაშენებთ დიდ ფუნიკულორს, — მოახსენა დროს ძველმა წელმა. აქ იქნება დიდი პარკი, დასასვენებელი სახლები. 50 ჰექტარი გამწვანებული მაქვს. შესდევთ მთაწმინდის ფერდობებს, 45 ჰექტარზე ტყე მოვაშენე.

— შენ გიყვარდა გამწვანება? — ჰკითხა დრომ ძველ წელს.

— როგორ არა! აი, აქედან ჩანს ლენტაიონის პარკი, 7 ჰექტარი უჭირავს. კომერციურის მთაზე ფიჭვნარი ამოვიყვანე. გავამწვანე ახალი სანაპირო ქუჩა. ხოჯივანებს ხედავ? იქ 10 ჰექტარზე კულტურისა და დასვენების პარკი დავიწყე. დოღუბეში და რუსის ბაზარზე ახალი სკვერები მაქვს.

— ის მაღალი რა არის?

— ის სტადიონის შენებლობაა.

40.000 კაცი დაეტევა შიგ. უორესის ქუჩაზე რომ დიდი შენობაა, ის წიგნის სასახლეა. აი, რუსთაველზე რომ ბრძნულად დამდგარა შენობა და ხარახების ჩამოხსნას ელის, ეს მარჯის სიზმ-ლენტიზმის ინსტიტუტია. ეს ჩემი სიამაყეა. თვალი დაადგით ძველი დღის აღაგს: იქ არის ვაგონების სარემონტო ქარხანა... ხომ კარგად მიმუშავნია?

— ეს მითხარი, ბავშვებისათვის რა გაკეთე? ხომ იცი, როგორ მიყვარს ბავშვები!

— რვა ახალი სკოლა ივაშენე, ექვსი ახალი საბავშვო ბალი, 14 საბავშვო ბაგა.

— ცოტაა, ყმაწვილო! — და დრომ წარბები შეიკრა.

— საბავშვო უნივერსიტეტი გავხსენი. რა გინდა სულო და გულო, რომ იქ არ იყოს.

— აბა ვნახოთ! — მოკლედ მოჭრა დრომ და უცებ რუსთაველის პროსპექტზე გაჩნდნენ.

მართლაც, რა გინდა, სულო და გულო, იმ უნივერსიტეტი რომ არ იყოს!

— უნივერსიტეტი კი არა, ბავშვების ქვეყანა! ასე უნდა დაარქვათ, — გაუსწორა დრომზე წელს და იკითხა: — ახალ წელს როგორ ხვდებით?

მეტოქის გახსენებაზე ძველმა წელმა წარბიშეიკრა და ცივად უპასუხა:

— მე სულ არ გხვდები ახალ წელს, ეს ჩემი საქმე არაა.

— შენ მიპასუხე, — მიმართა დრომ უკანასკნელ დღეს.

უკანასკნელმა დღემ ვიღაც ქალს საგოზინაყო თაფლში ხელი ჩაუყო, თითები მოილოკა და თქვა:

— კარგად ვხვდები, ბაბუა! აი, რამდენი ნაძვის ხეა, რამდენი ზიზილ-პიპილიანი სათა-მაშოა, რამდენი ტკბილეულობა!

და ეს სულ ჩენი ბედნიერი ბავშვებისათვისაა. აი ეს თაღებიანი ბაზარი, ხედავ, სულ ბავშვები ახვევია! ხარობს ჩენი ბედნიერი თაობა, და მიხარია, რომ დღეს ახალ წლის კარამდის მივყვები და იქ ვეტყვი: — გაიზარდეთ ისე, როგორც იზრდება ჩენი ქვეყანა. გახდით ძალა სტალინის დიდი ეპოქის ლირსეული შეილები; და ხანდახან მომიგონეთ მეც!

დრომ ბრძენი შებლი გაიხსნა, ძველ წელს მხარზე ხელი დაადო და უთხრა:

— კარგად გიმუშავნია შეილო!... ძველ წელს გაეხარდა და ტფილის სიყვარულით გადახედა.

დრომიუბრუნდა უკანასკნელ დღეს: აბა, წივიღეთ!

ლოდინი დიდხანს არ დასკირდა. საათმა დაიწყო: ერთი, ორი, სამი... მოისმა ეტლის ხმაური და ახალი წლის ფეხის ხმა. ძველმა წელმა ზურგი იბრუნა, უკანასკნელ დღეს ცალი თვალი დაეხუჭა, მაგრამ მეორე თვალით თავის ნაამაგარს გადახედა და გაიმეორა დროს შექება:

კარგია, შეილო!

საათმა დაპკრა თორმეტი. ჩამოდგა ეტლი და წაიყვანა ძველი წელი.

მოვიდა ახალი წელი იმედიანი შებლით, საფსე გულით და ფოლადის ნებით.



ოთახში კალათა შემოიტანეს.

ნოდარმა ზევიდან დაკრულ პატარა ბარათს მიაქცია ყურადღება: „გილოცავთ დაბადების დღეს“.

— რა უნდა იყოს? — შეეფიხა ნოდარი მამიდას, რომელიც სათვალეებს ზემოდან დასცემოდა კალათას. კალათა უკანაურად შეინძრა. მამიდა შეკრთა.

— ნუ გვშინია, მამიდა, კატა იქნება ან ძალი, ღიმილით მიმართა ნოდარმა მამიდას და კალათას გადაკრული თავი სწრაფად გადახსნა.

ორმა მოკიმციმე თვალმა შეაკრთო ნოდარი. პატარა მამუნი კალათის კიდეებს დაეყრდნო, ზევით ამოიწია, მოელვარე თვალები გარემოს მოავლო, ხელი ნოდარს გაუწოდა. ნოდარი შემკრთალი იღია მებოლა, ბოლოს ხმამალლა გადიხარხარა, მამუნს ორივე ხელი ჩამოართვა, აიტაცა და მაგრად ჩაბრუჯა.

— აი ნამდვილი სასიხარულო საჩუქარი, — და ამ სიტყვებით მამუნი მამიდას თვალშინ შეათამაშა.

მამუნმა შეხედა მამიდას — არ მოეწონა მოხუცი, ნოდარს კისერზე ცალი ხელი შემოხვია, მამიდას კი უკანაურად დაელრიჯა.



პატარა ზიზო (ასე დაარქვა ნოდარ მა თავის მაიმუნს) სავსებით შეეთვისა ახალ ბინას.

ის შედამ ტანჯრის რაფაზე იყო დასკუპული და ელოდა ნოდარის ქეჩაში გამოჩენას.

ერთხელ ნოდარი საჭერ მაგიდას მისჯდომოდა, გულმოდგინედ კითხულობდა. პატარა ზიზოც მაგიდაზე დაწყობილ წიგნებზე ჩამოსკუპებულიყო, მოსქმე წიგნს შლილა, ათვალიერებდა. ხშირად გადახედავდა ნოდარს, უნდოდა გაეგო, როდემდის აპირებდა ასე ჯდომას.

მოეწყინა ზიზოს ლოდინი, თვალების იქით-აქეთ ცეცებას მოუხშირა.

— ზიზო, მოეწყინდა? — ნოდარის მოულოდნელმა შეკითხვამ შეაკრთო ზიზო.

— წიმო, ზიზო, გავისეირნოთ.

ზიზოს ცხოვრების საკეთეს წუთებს სეირნობა წარმოადგენდა, ამ წინადადებამ მეტად გაახარა და გულზე მიეკრა თავის მეგობარს.

ზიზოს ახალი მეგობარიც გაუჩნდა.

მეტოვის დიდი ძალი გარდაიცვალა. მისი ობოლი ღები ნოდარმა ზიზოს მოუყვანა. ზიზოც გულმოდგინედ უვლიდა მათ. ტყვეობაში დახმული დედობრივი გრძნობა მეტი სიძლიერით გაპლიდებოდა.

არც ძველ მეგობარს ივიწყებდა ზიზო, ნოდარის მოსვლას კვლავ უსაზღვრო მხიარულებით მოელოდა.

ზიზო მაშინვე იცნობდა კიბეზე ამომავალი ნოდარის ფეხის ხმას, კარებთან აიტუზებოდა, მოუთმენლად მოელოდა, რას მოუტანდა მეგობარი.

შამიდა კი სამუდამოდ მოიმდურა: მეტად გაახშირა საპნის ქურღლიბა, მაგრამ რა უნდა ეწა ზიზოს? საპნი ლეკვების „დასაბანად“ ესაჭიროებოდა.

ახლაც ზიზოს შუა ოთახში დაედგა წყლით სავსე ჯამი და მამიდასათვის მოპარული საპნით გულმოდგინედ ბანდა ლეკვებს. კიბეზე ნოდარის ფეხის ხმა მოისმა. როცა კარებში ნოდარი გამოჩნდა, ზიზომ ვეღარ მოითმინა და კისერზე შეახტა. ისარგებლეს პატარა ლეკვებმა, მიატოვეს უსიამოვნო ბანაობა და კუთხეებს მიაშურეს.

ზიზო გამოუდგა უმაღურ შეიღლობილებს, კვლავ სწრაფად მოუყარა თავი, თან ხელიდან არ უშვებდა ნოდარის მოტანილ თხილათ სავსე პარკს.

მაგრამ როგორ უნდა ეჭამ? ეშინოდა არ გაქცეოდნენ შეიღლობილები, მეტად იზიდავდა თხილის გემოც. წამს დაფიქრდა ზიზო. სახე კმაყოფილებით გაუბრტყინდა. ლეკვები ჯამიდან ძირს გადომსვა, ჩამწერივა, კუდებს თავი ერთად მოუყარა, ზევიდან დასკუპდა და კმაყოფილი შეუდგა თხილის ჭამას.

ზიზოს ახალი ოინით გამხიარულებული ნოდარი სიცილით ტახტზე გაღაბრუნდა, თან მამიდას მისახმდა:

— მამიდა! მამიდა, მოდი, ნახე ზიზოს ახალი ოინი!

მამიდა უყურებდა ლეკვების კუდზე წამოსკუპებულ ზიზოს, სიცილით ცრემლებს აფრქვევდა და თან ნახევრად გაჯავრებული უტევდა:

— შეხეთ ამ წყეულს, როგორ გაუოხრებია აქაურობა!

* *

ნოდარი დაღონებული ბრუნდებოდა შინ. მისი აერობლანის მოდელი, რომელიც დიდის გულმოდგინებით გააკეთა, რაღაც შემთხვევის გამო შეჯიბრზე არ გაფრინდა. აღელვებულ ნოდარს აღარც ზიზო გახსნებია, ფეხები ძლივს აათრია კიბეზე.

კარების გალებისთანავე მიეგება მას ზიზო. ნოდარმა ის უდიერად მოიცილა, წიგნები მაგიდაზე დაყარა, ტახტზე მიევდო. როცა ზიზო კვლავ შეეცადა მიალერსებოდა მეგობარს, მევახედ შეუტია:



— მომცილდი, ზიზო, არა გარ შენ გუნდებაზე!

ზიზოს გული ატყინა ასეთმა შილებამ: პირველი შემთხვევა იყო, მისი დიდი მეგობარი ასე უდიერად რომ შეეგება. მოსცილდა ნოდარს და ფანჯრის რაფას მიაშურა.

ზიზო სევდიანად გასცეროდა, როგორ ეშვებოდა თოვლის ფანტელები ძირს. მისი მოელვარე შავი თვალები ჩეულებრივად აღარ ციცამებდა. მძიმე სევდას ჩაესადგურებია შიგ.

დიდხანს, დიდხანს იჯდა ზიზო გაუნძრევლად, ალა-რაფერი იპყრობდა მის ყურადღებას.

დალმებული იყო, როცა უძრავად მჯდომ ზიზოს ნოდარმა თავზე ხელი დაადო.

ნოდარს დავიწყებოდა თავისი დარდი, მხიარულად შესცეროდა ზიზოს.

— რას გასცერი, ზიზო? — ალერსით უთხრა მან. ზიზო შეაკრთო ალერსიანმა ხმამ. მან თავის გაქნევით მოიშორა ნოდარის ხელი და წიგნების თაროზე შეხტა. იქიდან ისეთი საყვედურით გადმოხედა, თითქოს ეუბნებოდა: შენ მალე ივიწყებ ჩემს შეურაცხყოას.

— რა დაგემართა, ზიზო?

ზიზომ კვლავ საყვედურით გადმოხედა მეგობარს. ნოდარს მოაგონდა, რომ წელან უხეშად მოექცა თავის პატარა მეგობარს.

— ნუ იბუტები. ზიზო, მოდი, შევრიგდეთ!

ზიზო ახლა მაგიდაზე გადახტა და ნოდარის წაპოტინებული ხელი ისევ მოიშორა. რამდენიმეჯერ კვლავ წაეტანა საალერსოდ ნოდარი, მაგრამ ზიზო მეტის ენერგიით იცილებდა მას.

— კარგი, იყავი მაგრე, — უყმაყოფილოდ უთხრა ნოდარმა და ძალლებს მიაშურა საალერსოდ.

ზიზო მივიდა თავის საწოლთან, მოიკუნტა, საყვედურით აღსავსე თვალის არ აცილებდა ნოდარს.

საჭმელსაც უარით შეეგება ზიზო. აღშფოთდა ნოდარი.

— ჩემთვა გაჯავრებული, მამიდა, და იმიტომ არაფერს ჭამს.

— არა, შვილო, რამდენჯერ გაჯავრებივარ, მაგრამ ყურადღება არ მიუჟევია, აღბათ ავად არის.

ამ სიტყვებმა შეაწუხა ნოდარი, მიუჯდა ზიზოს საწოლს, დაუწყო ალერსი. ზიზომ პირი კედლისაკენ იბრუნა, ისეთი კვნესა ამოუშვა, თითქოს კვდებათ.

— მამიდა, ექიმი მოვიყენოთ, — შესთხოვა ნოდარმა.

— შვილო, ახლა გვიანაა, ხვალ როგორც კი გათენდება, მაშინევ მოვიყვან.

მამიდაც სწუხდა პატარა ონავრის ავადმყოფობას. მოხუცა თითქოს შეეჩია სახლში ზიზოს მოუსვენარ ფუსფუსს.

დილით ადრე მოიყვანა მამიდამ მოხუცი ექიმი, რომელსაც ნოდარი კიბეზე შეეგება.

— რა დაემართა შენს მაიმუნს? — შეეკითხა ჭეკიში.

— არ ვიცი, ექიმო, უცნაური ავადმყოფია.

ექიმმა ყურადღებით გასინჯა ზიზო.

ზიზო სრულიად მოლუნებულიყო, მოელვარე თვალები ჩაჰქრობოდა, უცნაურად კვნესოდა. ექიში რამდენიმე წუთს იჯდა დაფიქრებული.

ეს წუთები ნოდარს საუკუნეებად ეჩვენებოდა.

— ნოდარ, შენი მაიმუნი ჯავრით არის ავად. ასეთი ჯიშის მაიმუნი წყვნას იშვიათად იტანს.

— უკვე ერთ კვირაზე მეტია ზიზო ავადა. ნოდარს ყოველდღე მოაქვს შისი საყუარელი საჭმელი, მთელი დღე უალერსებს, მაგრამ ზიზოს თვალები კვლავ საყვედურით გამოიყურება.

ნოდარმა დღესაც შეკოლადი იყიდა ზიზოსათვის, სევდიანი მოდიოდა შინ.

ზიზო კვლავ გაუნძრევლად იწვა და კვნესოდა, ძალა თანდათან ეცლებოდა. უდიერი მოქცევით დაკოდილი გული აღარ გაუმოւელდა, გრძნობდა სიკიდილის მოახლოვებას, მეგობარი ენატრებოდა.

ნოდარი ფრთხილად შევადა ოთახში. ზიზოს შის დანახვაზე თვალები გაუბრწყინდა, რღნავ წამოიწია, ორივე თათი ნოდარისაკენ გაიშვირა. ნოდარი მივარდა პატარა მეგობარს, გულში ჩაიკრა.

— ზიზო! ჩემო პატარა, კარგო ზიზო! მაპატიე უნებლიე დანაშაული, შევრიგდეთ, განვაახლოთ ჩენი მეგობრობა!

ზიზომ მიეკრა მეგობარს, თავი მოწყვეტით დააყრდნო მხარიზე. შეერთა ნოდარი, მიხვდა, რომ ზიზოს სხეული დუნდებოდა.

— ზაზო! ზიზო! გაახილე თვალი, გაახილე!

ზიზომ თითქოს გაიგონა, გაახილა მოელვარე თვალები და ნოდარს მიაპყრო.

— მაპატიე, ზიზო! მაპატიე უნებლიე დანაშაული! — კვლავ ჩასჩურჩულებდა ნოდარი.

ზიზომ სიყვარულით აღსავს თვალები მიაპყრო ნოდარს, თითქოს ეუბნებოდა მეგობარს: მე უკვე გაპატიე, მაგრამ ჩენი ჯიშს არ შეუძლია და ჯის გადატანა. ზიზოს ნელნელა დაეხუჭა თვალები, უკანასკნელად გააზმორა და ჩვარივით გადაეკიდა ნოდარის ხელებს.



პოტი ნინი

გერეა მასიანი

თარგმნა სომხურიდან გ. ქუჩიშვილმა.

— მიაუ, მიაუ!
ვინ ხართ, ვინა,
თავს დამატედა
რისხვა ზეცის:
ხანდარშია ჩემი ბინა
და კუტებიც
ცეცხლში მეწვის! —
კნავის, ჩხავის
კარზე კატა
და ამ განგაშს
გულს თან ატანს.
— წივ—წივ, წივ—წივ!
საღ ხართ, საღა!
მივაშუროთ
ფისოს სახლ-კარს! —
წივწივებდა წიწილა და
კოჭლი ფეხით
კრებდა ამქარს.
— ყო-ყო-ყო-ყო! —
ყოყლოჩინად
ამცნო ფისოს
მამლაყინწამი:
თუ არ ვიხსნა შენი ბინა,
ნუღარ მზიდოს დედამიწამი!
ესა თქვა და
შეხტა სარზე
და გასძახა რიხით სოფელს:
— ჰეი, შექრბით ფისოს კარზე,
სახლი ეწვის
ცეცხლის ალზე!
შველა უნდა
ჩვენს მეზობელს!

ამ დროს მამალს ისე ჰქონდა
მოლერილი კოხტად ყელი,
რომ ბჟყევიალა სამოსელით,
ოქროს ქოჩორ-საგარცხელით
ჰგავდა ნამდვილ
ცეცხლისმქრობელს.

— პიავ, პიავ! რა ოქმა უნდა,
შველა უნდა მოძმეს ძმური!
ვაშა მამალს,
გვირგვინოსანს! —
პექს ბლინია ინდაური.
— სსს! სწორია, მეც მხარს ვიჭერთ!
ვიხსნათ ფისო უბედური! —
ასისინდა თეთრი ბატი
და წინ წარდგა მხარზე სურით.



— კვატ—კვატ! რა ვთქვა?
შეუძლოდ ვარ,
მაგრამ წოლას
მოყვრისათვის
ვარჩვ ბრძოლას! —
აკრუსუნდა მძიმედ იხვი
და უმატა ცხვირში ხიხინს.
— კა—კა—კა, კა—კა—კა—კა! —



ექრიახდა საქათმეთი,
ყველა ჭურჭლით აღიჭურვა,
წიწილა კი ერთადერთი
კოჭლი ფეხით მიღახლახებს
და ნისკარტით მიაქვს წვეთი.

...
აიშალა ყოველ კუთხით
და მოაწყდა მთელი ჯარი.
„წინ, რაზმებო!
ცეცხლს ნუ უფრთხით!
მოქმედება გქონდეთ ჩქარი!
ჭურჭლები და დროზე წყალი—
აი ჩეენი ხმალ-აბჯარი!“—
მოუწოდა მამლაყინწამ
და ტრიბუნას მოსწყდა დინჯად.
საპასუხოდ ფრინველთ ზღვაში
აშრიალდა ფრთათა ტაში.




—ჰამ, ჰამ! — ღავ, ღავ! —
ძილდაფრთხალი წამოიჭრა
ღრენით ბროლა
და შეჰყეფა: „რას გნიასობთ?
აქ რა გინდათ?
იქ რა ბოლავს?“
— სახლი იწვის,
ფისოს სახლი! —
მოახსენეს მას თავდახრით.

...
და მოკურცხლავს უცებ ძილი,
საიდანლაც მიაქვს კიბე,
მიაყუდებს მხრიხლავ სვეტს და
სახურავზე მყის აირბენს.
და აწვდიან
ჭურჭლით წყალსა,

გარჯაშია დიდ—პატარა;
ბრუნაეს ბროლა,
გბრძვის ალსა,
რა ოფლი არ დაიღვარა,
მაგრამ, ცეცხლრც
უტევს, მძლავრობს,
ნაპერწელებს ყრის,
თითქოს ჯავრობს.

...
— ჰა, გამოჩნდა აქ წიწილა:
— ფუჭ! —
ერთი კი შეუბერა



და პაწია ასკინკილაშ
მთლად ჩააქრო
ცეცხლი ხელათ.

ალარ იცის, რა ქნას კატამ,
სიხარულის გრძნობით ღელავს
და მიმართავს
მოკლედ, სხარტად,
გასაჭირში გინც უშველა:
„თვალსაჩინო მეზობლებო:
ბროლავ, ხეითქმი გაწუწულო,
იხვო, ბატო,
მამლაყინწავ,
ქითმებო და ინდაურო, —
დიდ მაღლობას მოგახსენებო
და გთხოვთ ყველას
მიმსახუროთ!
შენ კი,
ჩემი მშვენიერო, —
მიუბრუნდა კოჭლ წიწილას, →
მზად გარ გულში ჩაგიშერო,
დაგენაცვლო,
მყავდე შეილად.



ა ხ ტ რ ი ბ ი რ ი ბ ი



ყველაზე ციცი ვარსკვლავები

ჩვენ აუარებელ ვარსკვლავს ვხედავთ ცაზე; მაგრამ ისეთი ვარსკვლავებიცაა, რომლების დანახვაც არ შეგვიძლია.

ამა დააკვირდით — განა ყველა ვარსკვლავი ერთი ფერისაა?

არის ცისფერი ვარსკვლავები — ეს ყველაზე ცხელი ვარსკვლავებია, მათი ტემპერატურა 30-50 ათას გრადუსს უდრის.

არის თეთრი ვარსკვლავები — მათი ტემპერატურა ჩამოუგარდება ცისფერი ვარსკვლავების ტემპერატურას.

არის ყვითელი ვარსკვლავები — ესენი თეთრებზე უფრო ცივი არიან.

არის წითელი ვარსკვლავებიც — მათი ტემპერატურა ძალიან მცირეა, სულ 3000 გრადუსსამდის.

ასტრონომებმა ეჭვით იცოდნენ — წითელ ვარსკვლავებზე უფრო ცივი ვარსკვლავებიც უნდა იყოს, მაგრამ ასეთი ვარსკვლავი არავის არ დაუნახავს.

ამ რამდენიმე თვის წინათ ამერიკელმა ასტრონომმა ეცლერმა „დაინახა“ ასეთი ვარსკვლავები — ე. ი. მათი ფოტოგრაფიული სურათი გადაიღო. ეს ვარსკვლავები მართლაც ძალიან ცივია — სულ რამდენიმე ას გრადუსს უდრის მათი ტემპერატურა, მაგრამ სითბოს მაინც იძლევიან. ეცლერმა გამოიყენა განსაკუთრებული ფოტოფირფიტები, რომლებზეც სითბოს სხივები ახდენს გავლენას. როდესაც ასეთი ფირფიტებით გადაიღეს ცა და მერე გამოამჯლავნეს, ცნობილ ვარსკვლავებს შორის ფირფიტაზე აღმოჩნდა თვალით უჩინარი ცივი ვარსკვლავებიც. დედამიწისაგან ყველაზე ახლოა ვარსკვლავი ალფა ცენტავრა. სინათლე, როგორც ვიცით, წუთში 300 ათას კილომეტრს გადის, მაგრამ ამ უახლოესი ვარსკვლავიდან ჩვენამდის მოსვლას სხივი უნდება ... $4\frac{1}{3}$ წელიწადს. ეცლერის აზრით, არის ალფა ცენტავრაზე უფრო ახლობელი, მაგრამ უჩინარი ვარსკვლავებიც, და მას განზრახული აქვს ზემოაღნიშნული წესით გადაიღოს მათი სურათი.

გ ე რ ი ბ ი რ ი ბ ი

ველკანი და ერთობენი

ვულკანი აღამიანის მტერია: ამოხეოქას, ამოაფრქეებს, აუარებელ ცხელლავას, გააოხრებს ირგვლივ ყველაფერს, გადაწვავს ნათესებს, მოსპობს ტყეებს, მიანგრ-მოანგრებს სოფლებს, ქალაქებს. საშინელებაა ვულკანი! როდესაც ის „გაილვიძებს“, თავზარდაცმული გარბის აღმიანი ...

1935 წლის 21 ნოემბერს კუნძულ გავაიზე ამოქმედდა ვულკანი მაუნა ლოა ამის შესხებ მეცნიერებმა ორი წლით ადრე იწინასწარმეტყველეს, ამიტომ ხალხი დროით გაიხიზნა. დაიწყო ამოფრქეება. ლავა ქალაქ გილოსკენ წამოვიდა უზარმაზარი ცხელი მდინარის სახით. ქალაქის გადარჩენის მედი აღარავის ჰქონდა, მაგრამ ... გადარჩა ქალაქი, და იცით რამდენარჩინ? — აეროპლანმა!

ივიატორები აფრინდნენ და თავს დასტრიალებდნენ ლავის მდინარეს. ლავა ზემოდან უცებ ცივდებოდა და ქერქს იკეთებდა, ამ ქერქის ქვეშკი ისე მიიზღაზნებოდა ცხელი მდინარე, თითქოს უზარმაზარ მილშია მიშვებულიო. იქ გაზები გროვდებოდა, აწვებოდა ლავას და აჩქარებდა მის დენას. მაშინ მეცნიერებმა ასე იფიქრეს: ლავის ქერქი რომ როგორმე გავტეხოთ, გაზები ზევით ამოვა, ლავა გაცივდება და შეჩერდება. მართლაც, ავიატორებმა 136 კილოგრამიანი ყუმბარები დაუშინეს ლავის მდინარეს, დახეთქეს მისი ქერქი — და სწორედ ის მოხდა, რის მოლოდინიც ჰქონდათ მეცნიერებს: ლავის მდინარე უცებ გაცივდა და გაჩერდა.

ამრიგად გადაარჩინა ეროპლანშია ქალაქი და მისი მიღამოები.



სიმოვსკის გრაფიკის მუზეუმი

სიმოვსკის
მუზეუმი



თბილა. ირგვლივ ყველაფერი აყვავებულია. ღაბზუან ფუტკრები, დაფუს-
ცესებენ, თაფლა იგრძებენ. მეტისმეტად სასარვებლო ეს პატარი მქრა.

გვიგა შემატვომა, დადგა ცავი ს. მარი, სატუა მხის სითაო ათაცევარი
ყვავილი! რა ქან ფუტკარმა, სამეშაო ილარი აქვა, უნდა იყოს მოელი ზამთრის
გამაგლობაში სკაში და ნელნელა ჭამოს თავლი..

ხომ კარგი იქნებოდა, რომ ზამთრაში ფუტკარს დროებით მოვკლავდეთ და
გაზაფხულები ისევ გავაცოცხლებდეთ!

სასაკილოა ამის ფიქრი, გაინ?

არა, სასაკილო აქ არაფერავ არ არას. წინათ ჰურში ფრენა განუხორცი-
ლებელ ოცნებად მიაჩნდათ, მაგრამ ხომ ხედავთ, ახლა ავიატორები შევარდებუ-
ბივთ სერავენ. აის "სივრცე"-მა ამ იქნება მეცნიერებამ ისეთი რამებიც შეძლოს,
რაც დღეს ჩემ გვეუცხოება და გვეიცვა.

დიდი ხანია, რაც სიკოცალის დროებით შეჩერების საკითხი აინტერესებს
შეცნიერებას.

1843 წელს ინგლისელი ანატომი გენტინერი ოცნებობლა ადამიანის 100 წლით
ვიყინვაზე და ას წლის შემდეგ გაცოცხლებაზე. ის წერდა:

"წარმოდგინეთ, რა იქნება, 100 წლის შემდეგ რომ გაცოცხლდეთ და ნახოთ,
რანაირი ცხოვრება ექვება მაშინ ადამიანს".

მართლაც საოცარი რაზ იქნება. ეს რომ განაორციელებული იყოს, შეინ
აჩნაირ გამოცანას მოგცემდით.

— მამა 30 წლისა, შვილი 60 წლისა. მამა 25 წლისა იყო, როდესაც ეს
შეილი შეეძინა. რა მომხდარა?

ვერ გამოიცანით? უეჭველად გამოიცნოთ; მხოლოდ ვერ გავეცნოთ ამ სა-
კონცეს (რაცა გამოიცნოთ, „პიონერის“ რეზაქციას გამოუვარეთ ახსნა).

25 წლის წინათ რეზმა მეცნიერა ბახმეტევმა დაამტკიცა, რომ შეიძლება
შევრი პატარა ცხოველის გაყინვა და შეიდევ ფრთხილად ხელნელა გათბობით
ისევ გაცოცხლ ბა. სწორედ ეს მეცნიერი ამონდა — მალე იმასაც მივაღწევთ,
რომ ზამთაობით ფუტკრების გაყინვავთ (თაფლი რომ არ შექამონ), გაზაფხულზე
კი გავათბობთ და გაცოცხლდებანო.

ბაბეტეე 1913 წელს გარდაი კვალა, მაგრამ მისი იდეა არ მომქვდარა. საბ-
ჭოთა კავშირში მეცნიერებს უდიდესი გასაქანი აქვთ, ჩეენ სამშობლოში შეუ-
შევიტლივ წარმოებს ათასგარი კვლევა-ძიება, ნაირაირი მეცნიერული ცდები,
და სხვათაშორის აი როგორი ცდები ჩატარდა ასტრახანის განამდლად 1936
წლის შემოდგრმაზე.

წყალში დაცურავდა ხუთი ზუთხი. წყა - ი თანდათან გააცივეს და ნოლ გრადუ-
სხე დაიყვანეს. მაშინ ზუთხები აღარ ინძრეოდნენ და აღარც სუნთქვედნენ. ამო-
ძლეს ეს ზუთხები, ყინულებე დააწყეს, ყუთში ჩაალაგეს და ლაბორატორიას გაუვზივ-
ნეს. 28 საათის შემდეგ ეს ყუთი გაასნეს და გაყინული ზუთხები წყალში გადა-
ვარეს. იცით რა მოხდა? ცოტა ხნის შემდეგ ოთხი ზუთხი გაცოცხლდა.

სარატოვში გაყინეს (ცეკვრინები და კო რები (თევზებია), ყინულში ჩაწყვეს
და აერობლინით გაგზავნეს მოსკოვში. გაყინვიდან 52 საათის შემდეგ ჩაყარეს ეს
ავტები აკვარიუმში და... თევზები გაცოცხლდნენ.



ცილამზეპავინა მაიმუნები

ვ. კახიანი

საქონლები
გვიაზვურის



სამხრეთის ცხელი ქვეყნების უსიერ ტყეებში მრავალი საუკაზი ცხოველი და ფრინველი ცხოვრობს. მათ შორის გრძელი ტრემულ ყურიდების მიმუნები იქცევენ. მრავალი გვარისა და ჯიშის მიმუნები ცხოვრობენ ქვეყნად. ზოგი მათგანი აღამიანზე უფრო დიდი და ღონიერია, ზოგი სამუალო სიდიდისაა, მაგრამ მარტის სულ პაწია (მცურავა და მცირავა) ჯიშის მამუნებიც, რომელთაც ციდამტეაველია მამუნების ეძახიან.

ციდამტეაველი — ბუსუსებით. შემოილი ცოცხლი ცუგრუმელი სახით, ეშმაკუნა მოფუსფუსე თვალებით, უსაზღვრო სიმრდალით და კივილით განთქმულია ტყის მცხოვრებთა შორის. ეს პაწია მცურავი მანქიების ძლიერ მაღალ ხეებზე ცხოვრობენ ხშირ ტყეებში, ხიდაც მზის სხვივებიც ვერ ატანს, და ხილისიანი შეკეცვის ვაშლის, კაკლის, წაბლის და ტყის სხვა ნაყოფს. ისინი მარდად და ცოცავენ შტოდან შტოტზე, ხიდან ხეზე და ატრიგიდ რამდენიმე კილომეტრ მანძილზე მოგზაურობენ. როგორ სამხრეთი ქვეყნების ეგრეთ წოდებული ტროპიკული წვიმები იწყება, პატარა ცხოველებს სწყინდებათ მუდამ სველ, აღწურულ ხეზე ჯდომა და ძიგმიკო აიყრებიან ჯგუფავუფად და იქით მამურებენ, სადაც წინამდებარებისა არ მოდის.

რატომლაც ციდამტეაველები აბუჩიდ აგლებული ჰყავი თუთიყუშებს. ეს ფრინველები არა მარტო ხმის წაბაძეით აჯავრებენ და დაცუინიან მათ — თავშიაც საკიარისად უნისკარტებენ და უსიამოვნო გუნებაზე აყენებენ, ამიტომ ციდამტეაველებს საშინლად არ უყვართ მაგეზარი მეზობლები, შეამჩნევენ თუ არა თუთიყუშთა გუნდს, მყიდვე აიყრებიან იმ არემარედან და შორს იხიზნებიან. სუსტი და უმწეონი არიან ციდამტეაველი მამუნები, მათ თავდასაცავად მხოლოდ გამაფრთხილებელი კივილი გააჩნიათ, როგორც კი შეამჩნევენ საეჭვი მოძრაობას ან ხმაურს, მკიცე გააბამენ გამაყრუებელ კივილს: რომ მომხადებული დახვდენ მოხალოდნელ მტერს. უმეტეს შემახვივაში მათი სიფრთხილე სისკოლო სიმხდალის ხაყოფია. ხის ფოთლის უბრალო გაზიერება თავზარს სცემს საბრალო პაწინა ტყის შვილებს. ან კი რა ქნან მანქიებმა, საბრალო ციდამტეაველებმა, როგორ მათ არაიგითორი სიმედო იარაღი არ გააჩნიათ მრავალრიცხვან მტრისაგან თავდასაცავად. ხშირად წაძოიქროლებს მძლავრი არწივი, თავს დაეცემ საბრალოს, ბევრს იკივლებს სასიკვდილოდ განწრული ციდ მტეაველა, მაგრამ აბრა გახდება ბასრი კლინჭების და მკვეთრი ნისკარტის წინააღმდეგ!


ქ რ მ ს ვ თ ხ დ ი

ეროვნული
გილდიონი

ჩვენი უურნაოის ამ ნომერ-
ში პირველად ვბეჭდავთ კრო-
სორდს.

კროსორდის ამოსახსნე-
ლად საჭიროა ვიცოდეთ შემ-
დეგი რამ: ყოველ უჯრაში
იგულისხმება მხოლოდ ერთი
ბერა — ასო. ჩვენ ვიძლევით
კითხვას, ხოლო პასუხს, რო-
მელიც ყოველთვის ერთი სი-
ტყვისაგან შესდგება, თქვენ
თვითონ პოულობთ. პასუხი
სწორია თუ სიტყვის ასოთა
რაოდენობა უჯრების რაო-
დენობას უდრის. პასუხები
ამოიკითხება როგორც ვერ-
ტიკალურად, ისე პორიზონ-
ტალურად:

— მაგალითად, ავილოთ კით-
ხვა (ვერტიკალურად) № 52
ჩვენ მომართავთ კითხვით
— დაასახელეთ მდინარე ოფ-
რიუაში. ნახატზე წინასწარ
მოძებნეთ № 52. რამდენი უჯ-
რა მოთაქსებული ვერტიკა-
ლურად? 6. მაშასადამე, პა-
სუხი ექვს ასოსაგან უნდა შეს-
დგებოდეს.



3ერთიქალურად:

1. სსრკ თავდაცვის სახალხო კომისარი.
2. გერმანელი ემიგრანტი მწერალი, რომელმაც 1937 წ.
იანვარში ინახულა სსრკ კავშირი.
3. ქაბანერის საგარეო საქმეთა მინისტრი.
4. ესპანეთის კომპარტიის ცეკას ორგანო.
5. სსრ კავშირის ძირითადი კანონი.
6. ამერიკელი კომუნისტი, რომელიც ელექტროსამზე და-
წეს.
7. ერთეულთი მოკავშირე რესპუბლიკის დედა-ქალაქი.
8. ესმანერის ქალაქი-ნაგესადგური.
9. პუშკინის მევლელი.
10. შორეულ აღ. გამასკუთრებული წითელ-დროშოვანი
არმიის სარდალი.
11. ერთეულთი მოკავშირე რესპუბლიკის დედა-ქალაქი.
12. ესმანერის ქალაქი-ნაგესადგური.
13. პუშკინის მევლელი.
14. შორეულ აღ. გამასკუთრებული წითელ-დროშოვანი
არმიის სარდალი.
15. პუშკინის პოემის გმირი.
16. სსრ კავშირის მოკავშირე რესპუბლიკა.
17. ოპერა „ევგენი იონენის-ავტორი – კომპოზიტორი.
18. ესპანეთის ერთეულთი სიმაგრე.
19. საქ. სახკინმრეწვის ახალი მოვანი ფილმი.
20. გამოჩენილი გერმანელი რევოლუციონერი პოეტი.
21. სსრ კავშირის ყიდულის მჭრელი გემი.
22. მდინარე ესპანერი.
23. საბჭოთა კულტურული ინსტიტუტი.
24. საბჭოთა კულტურული ინსტიტუტი.
25. საბჭოთა კულტურული ინსტიტუტი.
26. საბჭოთა კულტურული ინსტიტუტი.
27. საბჭოთა კულტურული ინსტიტუტი.
28. საბჭოთა კულტურული ინსტიტუტი.
29. საბჭოთა კულტურული ინსტიტუტი.
30. საბჭოთა კულტურული ინსტიტუტი.
31. საბჭოთა კულტურული ინსტიტუტი.
32. საბჭოთა კულტურული ინსტიტუტი.
33. საბჭოთა კულტურული ინსტიტუტი.
34. საბჭოთა კულტურული ინსტიტუტი.
35. საბჭოთა კულტურული ინსტიტუტი.
36. საბჭოთა კულტურული ინსტიტუტი.
37. საბჭოთა კულტურული ინსტიტუტი.
38. საბჭოთა კულტურული ინსტიტუტი.
39. საბჭოთა კულტურული ინსტიტუტი.
40. საბჭოთა კულტურული ინსტიტუტი.
41. საბჭოთა კულტურული ინსტიტუტი.
42. საბჭოთა კულტურული ინსტიტუტი.
43. საბჭოთა კულტურული ინსტიტუტი.
44. საბჭოთა კულტურული ინსტიტუტი.
45. საბჭოთა კულტურული ინსტიტუტი.
46. საბჭოთა კულტურული ინსტიტუტი.
47. საბჭოთა კულტურული ინსტიტუტი.
48. საბჭოთა კულტურული ინსტიტუტი.
49. საბჭოთა კულტურული ინსტიტუტი.
50. საბჭოთა კულტურული ინსტიტუტი.
51. საბჭოთა კულტურული ინსტიტუტი.
52. საბჭოთა კულტურული ინსტიტუტი.
53. საბჭოთა კულტურული ინსტიტუტი.
54. საბჭოთა კულტურული ინსტიტუტი.

3უსეთის უდიდესი პოეტი:

6. რუსეთის უდიდესი პოეტი
7. პლანეტა.
9. მცირიერი, რომელიც კოცონბე დაწვეს.
10. უდიდესი არხი მსოფლიოში.
13. პუშკინის უალენის შეგობარი, დეკაბრისტი.
15. ულიციერესი ელსადგური საქართველოში.
16. ესპანეთის რესპუბლიკი ელთა პობულარული ლომუნგი.
19. უდიდესი ჩანჩქერი მსოფლიოში.
20. ესპანელი მეზნებარე ტრიბუნი ქალი.
22. ქართველი „ჩაბაევა“.
23. ჭაბი საქართველოში, რომელიც ახლა წალკოტად ჰყვავის.
24. პირველი ცხენოსანი არმიის ინსპექტორი, მარშალი.
25. ქალაქი ესპანეთში.
27. სამოქალაქო ამის გმირი.
28. კულკანი იაპონიაში.
33. მდინარე კოლგას შენაკადი.
34. შესანიშნავი ზღვაოსანი მევლევარი.
36. ესპანეთის კოლონია.
37. ესპანეთის ყოფილი სატახტო ქალაქი.
40. პუშკინის აღმზრული, ძირა.
41. ასტრონომიული ხელსაწყო.
44. საბჭოთა კულტურული ინსტიტუტი.
45. მონების აჯანყების ხელმძღვანელი რომში.
48. გამოჩენილი ინგლისელი პოეტი.
49. უდიდესი მწერვალი მსოფლიოში.

კროსორდი შეადგინა ნიკოლოზ ჯაშმა

კროსორდის პასუხებს ჩვენი უურნალის
მორიგ ნომერში მოვათავსებთ

ეცენტრული გამოვანი

ଓঁশুণি-গুণ. ১-পুস্তক

მუსიკა — თანარ გავიჩიაშვილის.